საბა

№9
სექტემბერი
2010

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

საერთო პასუხისმგებლობა სამყაროს წინაშე

მექსიკის ყურეში, კომპანია Bp-ის British petroliumi კუთვნილ ნავთობისა და გაზის ჭაბურღილზე ახლახანს მომხდარი ავარია ჯერ კიდევ ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება მთელი მექსიკის ყურეს მისისიპიდან ფლორიდამდე. ადამიანები მთლიანად მობილიზებულნი არიან ზღვაში ნავთობის დიდი შავი ლაქის გასაწმენდად; მობილიზებულები იყვნენ არა მხოლოდ კატასტროფაზე ძირითადი პასუხისმგებლები ამავე კომპანიიდან, სანაპირო ზოლის დაცვა თუ სხვადასხვა სამთავრობო ორგანოები, არამედ უამრავი რიგითი მოქალაქე, ყველა თავ-თავიანთი შესაძლებლობით; მათ ერთი სურვილი ამოძრავებდათ — საკუთარი შრომითა და უნარით მომავალი თაობებისათვის გადაერჩინათ მათივე მიწა. დღევანდლამდე მთელი ერი მოვლენათა კურსში რჩება; ხალხს არ სურს, გულხელდაკრეფილი იჯდეს და თუნდაც ათასობით კილომეტრს იქით მომხდარ ფაქტს აუღელვებლად უყურებდეს.

იყენებენ საუკეთესო ტექნოლოგიებს, როგორც ოკეანის ფსკერიდან ნავთობის ნაკადის ამოსატუმბად, ასევე დაბინძურებული ზღვის ტალღების შესანელებლად; სანაპირო ზოლზე დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე მინისტრები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები და რიგითი მოქალაქეები, რადგანაც ყველას სურს ვითარებაში გარკვევა: პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, მრეწველებს; საქმეში ყველა ჩაება და თანაც დიდი ენთუზიაზმით; მაგალითად, მებადურები ეუფლებოდნენ მეთოდს, თუ როგორ გადაესროლათ ხელოვნური პლასტიკური ბარიერები; რიგით მოქალაქეებს, მოხუცებსა და ბავშვებსაც კი შეჰქონდათ წვლილი ავარიის შედეგების აღმოფხვრაში: ისინი თმებს სწირავდნენ;... დიახ, შეიძლება ეს სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ იგი სჭირდებათ იმისათვის, რომ ზღვაში გაჩენილი ნავთობის დიდი ლაქა გაიწოვოს (ნეილონის წინდებში ტენიდნენ თმებს და გადაბმული სოსისების ეფექტით ცდილობდნენ, მასში მოექციათ ლაქა, რომელსაც გაიწოვდა თმა). თმა, თავისი ფიზიკური მონაცემების წყალობით, ღრუბელივით იწოვს ლაქას; სწორედ ესაა ამ მეთოდის უპირატესობა.

370-ზე მეტმა სილამაზის სალონმა შეაგროვა ბუნებრივი თმა და 185 ათას კგ.-ზე მეტი გაუგზავნა მექსიკის ყურის ადმინისტრაციას. ეს სოლიდარობის მხოლოდ ერთი ნიშანი იყო, რომელიც ამ კატასტროფამ წარმოშვა. ობამას ადმინისტრაცია, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, შეეცადა სპონტანურად ემოქმედა და სანაპირო ზოლის ადმინისტრაციას თავისი თანადგომა გამოუცხადა, აქვე, Bp-ს მოსთხოვა ხარჯების დაფარვის სრული გარანტია. ვაშინგტონში უკვე ამზადებენ კონგრესზე გასატან კანონს, რომელიც შეეცდება ეკონომიკურ განვითარებასა და ბუნების დაცვას შორის წონასწორობის მიღწევას: ლიმიტი დაედება გაზის ემისიებს, რომლებიც წარმოქმნიან სათბურის აირების (Greenhouse gases) ეფექტს (აღსანიშნავია, რომ 2009 წლის ნოემბერში ის უკვე 7%-ით შემცირდა), ბუნებრივი ენერგიის სხვა წყაროების მოძიებით, როგორიცაა მზისა და თვით ატმოსფეროს მიერ გამოყოფილი ენერგიები, მიიღება ზომები ატლანტიკის სანაპირო ზოლზე ნავთობის სხვა ახალი პლატფორმების გასახსნელად.

რა დაგვანახა მექსიკის ყურეში, ნავთობჭაბურღილზე გამოწვეულმა ავარიამ? ამერიკის სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები ცდილობდნენ, ერთობლივი ძალებით შეესწავლათ ამ დიდი კატასტროფის სავალალო შედეგები, ელოცათ და აეღოთ ვალდებულებები მის აღმოსაფხვრელად; თუ მაშინ, როცა კატრინის ქარიშხლმა (ხუთი წლის წინ) მთელი ახალი ორლეანი მოიცვა, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც იგი იქ ჩატარებული გეების აღლუმისა და გართობის გამო მოვლენილ ღვთის რისხვად ჩათვალეს, ისევე როგორც წყალდიდობა, რამაც პაკისტანი დაზიანა ამ ზაფხულს, თუნდაც ჩინეთის მიწისძვრა,... ან რუსეთის ხანძარი (უცნაური კია, მაშინ როდესაც საკუთარ სახლში ხანძრების ჩაქრობითაა დაკავებული, სხვა ქვეყნებში ცეცხლის აღს აღვივებს!), რომელიც ამავე ჭრილში იქნა დანახული (თავის დროზე მოსკოვის პატრიარქმაც ეს აზრი დააფიქსირა ჰაიტის მიწისძვრის შესახებ), ამჯერად ცდილობენ, წინა პლანზე წამოსწიონ თავისუფალ ბაზარზე დამყარებული უდიდესი ნდობა (ბაპტისტური ეკლესია) და ის ფაქტი, რომ ეკოლოგიური მოვალეობა მხოლოდ რამდენიმე მოხალისეს ანაბრად არ დარჩეს. თავის მხრივ, კათოლიკე ეპისკოპოსები წერენ, რომ „ღმერთი მოგვანიჭებს სიბრძნესა და ძალას ამ რთულ ჟამს, და გამოიძებნება დროში გახანგრძლივებული მეთოდები, რაც მთელი მსოფლიოს საერთო კეთილდღეობისთვის იქნება გამოყენებული“. ებრაულ სამყაროში გავრცელდა აზრი, რომ ნავთობის ჩაღვრის ტრაგედია „მოსალოდნელი გახლდათ. მიზეზი გასაიდუმლოებული არაა და ის არც ზეცაში უნდა ვეძიოთ, იგი Bp-ს ოფისებში, მომხვეჭელობის ეთიკით შეპყრობილ მთავრობაში უნდა მოვიძიოთ... თუკი კაცობრიობას თვითგადარჩენა სურს, მოვალეა, უფრო მეტი პასუხისმგებელობით იცხოვროს! „ – უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სიმართლეა; ასეთივე სურვილს გამოვხატავთ ჩვენი ქვეყნის მიმართაც, სადაც ყველაფრის ფასად ცდილობენ სიმდიდრის მოხვეჭას და ვერ აცნობიერებენ, სინამდვილეში რა შეიძლება, უფრო მეტად ფასობდეს. პროგრესი, განვითარება, ერების, ქალაქების, ოჯახების აღორძინება არ უნდა მოხდეს ადამიანებისა და ბუნების ხარჯზე; დედამიწაზე იოლი გზებით სამოთხის შექმნის მცდელობა ყოველთვის მეტყველებს წარმავლობაზე, უსამართლობაზე, ილუზიაზე. ცხადია, ბუნებრივი კატასტროფები არ უნდა მივიჩნიოთ სამყაროს აღსასრულად, ანტიქრისტეს მოახლოების ნიშნად, რაშიც ზოგიერთები იოლ პასუხებს ეძებენ და ცდილობენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ნაცვლად იმისა, რომ დაფიქრდნენ იმ მოვალეობაზე, რაც ადამიანებს უნდა გააჩნდეთ დედამიწის, თავიანთი ცხოვრებისა და ბუნების წინაშე. მაშინ ვითომ კატასტროფებით გამოწვეული დედამიწის აღსასრული აღიქმება არა აგონიაში მყოფის ოხვრად, არამედ ყვირილად იმ ახალი სიცოცხლისა, რომელიც სამყაროს ევლინება.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

გერმანიაში ინტერრელიგიური დაწყებითი სკოლა გაიხსნება

ქალაქ ოსნაბრიუკის კათოლიკე საეპისკოპოსოს ინიციატივით ქალაქში დაარსდება ინტერრელიგიური დაწყებითი სკოლა, რომელშიც ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის საფუძვლები შეისწავლება.

„ჩვენ მულტირელიგიურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და, განსხვავებათა მიუხედავად, ამ რელიგიებს ბევრი საერთო აქვთ. გვინდა, რომ ებრაელმა, მუსლიმმა და ქრისტიანმა ბავშვებმა და მათმა მშობლებმა ერთად აღნიშნონ რელიგიური დღესასწაულები“, — აღნიშნა ოსნაბრიუკის საეპისკოპოსოს წარმომადგენელმა.

ახალი სკოლა 2011 წელს გაიხსნება იოანე მახარებლის სკოლის ბაზაზე. დღეს ამ სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი კათოლიკეა, თუმცა სხვა კონფესიების წარმომადგენელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

პირველი ავსტრალიელი წმიდანი

უწმიდესმა პაპმა ავსტრალიელი მონაზვნის, მერი მაკილოპის კანონიზაციის შესახებ აუწყა. 17 ოქტომბერს ნეტარი მერი მაკილოპი წმიდანთა რიცხვს შეუერთდება.

1866 წელს 25 წლის მერი მაკილოპი მონაზვნად აღიკვეცა და „უწმიდესი გულის წმიდა იოსების დების“ კონგრეგაცია დააარსა. მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება მან გაჭირვებულთა მსახურებას მიუძღვნა. კონგრეგაციის დაარსებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, დების ღვაწლით ავსტრალიაში გაიხსნა პირველი კათოლიკური სკოლა, ქალთა თავშესაფარი და მოხუცებულთა სახლი.

1871 წელს (ამ დროისთვის ავსტრალიის სამხრეთ ნაწილში კონგრეგაციის ინიციატივითა და ღვაწლით არაერთი დაწყებითი სკოლა და საქველმოქმედო დაწესებულება მოქმედებდა) ადგილობრივმა ეპისკოპოსმა შეილმა მერი მაკილოპი ეკლესიიდან განკვეთა. მისი აზრით, მერის საქმიანობა ძალზე თამამი იყო და იგი „დებს დაუმორჩილებლობისაკენ უბიძგებდა“. თუმცა გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, შეილი მერი მაკილოპს შეხვდა და სასჯელისგან გაათავისუფლა იგი. მოგვიანებით საეპისკოპოსო კომისიამ შეისწავლა ეს ინციდენტი და სრულიად გაამართლა მერი. ხელმძღვანელის განკვეთის მიუხედავად, მთელი ამ დროის მანძილზე კონგრეგაცია მოღვაწეობას განაგრძობდა. მრავალი სკოლა დაარსდა მათ მიერ ახალ ზელანდიასა და სამხრეთ უელსში.

1902 წლიდან გარდაცვალებამდე (1909 წ.), ინსულტის გამო პარალიზებული და ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული, მაგრამ მაინც მხნე და დაუცხრომელი, მერი მაკილოპი მსახურებას განაგრძობდა.

ბეატიფიკაციის პროცესი 1925 წელს დაიწყო. მრავალი წლის მანძილზე საგანგებო კომისია შეისწავლიდა მერი მაკილოპის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. 1995 წელს იოანე პავლე მეორემ იგი ნეტარად შერაცხა. ამის შემდეგ წმიდა საყდარმა აღიარა ნეტარი მერი მაკილოპის მეოხებით მოხდენილი ორი სასწაულებრივი განკურნება.

ერთ-ერთი განკურნების შესახებ სააგენტო ABC News მოგვითხრობს. ეს ფილტვებისა და ტვინის სიმსივნით დაავადებული კეტლინ ევანსის ისტორიაა. არც ერთი კერა არ ექვემდებარებოდა მკურნალობას. „ბევრ ექიმთან გავიარე გამოკვლევა, იმედი არავის მოუცია და არც რაიმე მკურნალობა ჩამტარებია. მაშინ ლოცვით მივმართე მერი მაკილოპს. ასე რომ ჩემი განკურნება მხოლოდ სასწაულით აიხსნება და მე მჯერა ამ სასწაულის“, — თქვა სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში კეტლინ ევანსმა.

ეკლესიის კუთვნილი სამედიცინო დაწესებულებები საერო საავადმყოფოებზე უფრო ეფექტურია

ამ დასკვნამდე მივიდნენ სააგენტო Thomson Reuters -ის სპეციალისტები, რომელთაც აშშ-ს 255 სამკურნალო დაწესებულება გამოიკვლიეს. კათოლიკე ეკლესიის თუ სხვა რელიგიურ თემთა კუთვნილი საავადმყოფოების საქმიანობა უფრო ეფექტურია, მომსახურება უფრო ხარისხიანია, ვიდრე საერო სამკურნალო დაწესებულებათა საქმიანობა.

დასკვნები გაკეთდა ისეთი მაჩვენებლების საფუძველზე, როგორიცაა პაციენტთა სიკვდილიანობის რიცხვი, ქირურგიულ ჩარევათა შემდგომი გართულებები, პაციენტის ხელახალი ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა, მკურნალობის ხანგრძლივობა და სხვ.

აშშ-ში კათოლიკე ეკლესიას 624 სტაციონარული და 499 ამბულატორიული დაწესებულება ეკუთვნის.

„როდესაც თქვენი მსახურების საფუძველი იესოა, ხარისხიც მხოლოდ უმაღლესი შეიძლება იყოს. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რაც ისედაც ცხადია ყველასთვის: ეკლესია ყველაზე ეფექტური მკურნალია“, — აღნიშნა აშშ-ს ეპისკოპატის პრეს-მდივანმა, მონაზონმა მერი ენ უოლშმა კვლევის შედეგებზე საუბრისას.

ჩინეთის „ოფიციალური“ და „იატაკქვეშა“ ქრისტიანები

ჩინეთის მთავრობის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემებით ქვეყანაში დღეს 23 მილიონი ქრისტიანია.

ჩინელ ქრისტიანთა უმეტესობა პროტესტანტია. კათოლიკეთა რიცხვი დაახლოებით 6 მილიონს აღწევს. აღრიცხვის მონაცემებით, ქვეყანაში 55 000 ქრისტიანული ტაძარი და სამლოცველოა. მორწმუნეთა უმრავლესობას, დაახლოებით 70%-ს, ქალები წარმოადგენენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აღრიცხვა შეეხო მხოლოდ ჩინეთის მთავრობის მიერ ოფიციალურად აღიარებულ ეკლესიებს. ექსპერტთა აზრით, „იატაქვეშა“ ქრისტიანთა რიცხვი გაცილებით დიდია და, სავარაუდოდ, 50 მილიონს აღწევს.

„დროთა განმავლობაში ჩინეთის ქრისტიანთა რიცხვი გაიზრდება. ჩინეთი ათეისტური ქვეყანაა და ქრისტიანთა დევნითაა ცნობილი, მაგრამ ღმრთის

განგებულება ჩინეთშიც გამოვლინდება“, — აცხადებს ცნობილი ჩინელი ეკონომისტი, კომპარტიის ყოფილი წევრი სიაო ჩჟაო, რომელმაც ცოტა ხნის წინ ქრისტიანობა მიიღო. თავის სტატიაში „საბაზრო ეკონომიკა ეკლესიასთან ერთად და ეკლესიის გარეშე,“ იგი ასკვნის, რომ ამერიკის ეკონომიკა ქრისტიანული ზნეობის გამო ყვავის და ჩინეთის ეკონომიკის სამომავლო წინსვლაც ქრისტიანობის გავრცელებაზეა დამოკიდებული.

„მოგვეცით მშვიდობა და უსაფრთხოება“

„დღეს ერაყი უარეს სიტუაციაშია, ვიდრე შვიდი წლის წინ, როდესაც ქვეყანაში ამერიკის ჯარი შემოვიდა. როდესაც საჯარისო შენაერთები ქვეყნიდან მიდიან, მათ მშვიდობა და უსაფრთხოება უნდა დატოვონ, ჩვენ კი მხოლოდ ომის ნეგატიური შედეგები დაგვრჩა“, — განაცხადა ბაღდადის ეპისკოპოსმა შლემონ ვარდუნიმ ერაყიდან ამერიკის საჯარისო შენაერთების გაყვანის თაობაზე. დღეს ქვეყანაში 50 000 ამერიკელი სამხედრო რჩება, მაგრამ ისინი მეტად აღარ მიიღებენ მონაწილეობას ბრძოლებში და ერაყის ჯარისა და პოლიციის მომზადებას შეუწყობენ ხელს.

„ერაყში არ არის მთავრობა. იმისთვის რომ შესაძლებელი გახდეს ამ ქვეყანაში ცხოვრება, საჭიროა ძლიერი ხელისუფლება და ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფა. მხოლოდ ასეა შესაძლებელი სახელმწიფოს განვითარება. დღეს კი ტერორისტები იმას აკეთებენ, რაც სურთ. არ არის სამუშაო ადგილები, სამაგიეროდ არის დანაღმული ავტომობილები. თანამშრომლობას ვთხოვთ კეთილი ნების ადამიანებს. მოგიწოდებთ: მოგვეცით მშვიდობა და უსაფრთხოება!“ — აცხადებს ვარდუნი ვატიკანის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

ერაყის ელჩი ვატიკანში ჰაბებ ალი ალ-სადრი მიიჩნევს, რომ ერაყის ქრისტიანთა სავალალო მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანწილად დასავლეთის მასმედიის საშუალებებსაც ეკისრება: „ტერორისტები მიხვდნენ, რომ ერაყის მუსლიმთა დაღვრილი სისხლი დასავლეთში არავის ანაღვლებს. სწორედ ამას მოჰყვა მასიური თავდასხმები ქრისტიანებზე“. ელჩმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ერაყის მოქალაქეები გმობენ ტერაქტებს. მან ასევე სთხოვა უწმიდეს პაპს, ქვეყანაში დაბრუნებისკენ მოუწოდოს ერაყის ქრისტიანებს. ერაყის მთავრობა კი მათ სამსახურს, საცხოვრებელსა და ფულად დახმარებას ჰპირდება.

კუბა: კიდევ ერთი ნაბიჯი წინ

კუბის მთავრობასა და კათოლიკე ეკლესიას შორის ახლად გამართული დიალოგის ერთ-ერთი შედეგი კაიო ესპინოში ტაძრის აგება გახლდათ. ტაძარი ამა წლის 24 ივლისს გაიხსნა. იგი მხოლოდ 80 ადამიანს იტევს, თუმცა აქამდე ამ ქალაქში წირვა გაცილებით უფრო მცირე სამლოცველოში აღევლინებოდა.

„თუკი შესაძლებელია ასეთი სასწაული, წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება გარდაიქმნას ჩვენი ცხოვრება ქრისტეში. ამ ტაძარმა დაგვანახა, რომ ღმერთს შეუძლია ჩვენი ცხოვრების შეცვლა. იგი მოგვიხმობს, გავერთიანდეთ ოჯახში, ძმათა ერთობაში, ეკლესიაში“, — მიმართა მორწმუნეებს ბაიამოს ეპისკოპოსმა ალვარო ბეირა ლუარკამ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ კუნძულზე, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კათოლიკეა, არც ერთი კათოლიკური ტაძარი არ აშენებულა. თუმცა ორი წლის წინ ჰავანაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძარი აშენდა. „ოთხი წლის წინ ფიდელ კასტროს შევხვდი. უფალმა შთამაგონა, მეკითხა კუბის ლიდერისათვის კუბაზე მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის შესახებ. მან მაშინვე მიპასუხა, რომ არათუ მიესალმება ამ იდეას, არამედ იმასაც მპირდება, რომ ტაძრის მშენებლობას მთავრობა იკისრებს. ფიდელ კასტროს მიაჩნია, რომ კუბელთა მხრიდან ეს მადლიერების ბუნებრივი ჟესტია რუსი ხალხისადმი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა ერისადმი, იმისთვის, რაც მათ ოდესღაც გააკეთეს კუბისათვის“, — იხსენებდა შემდგომ სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილე, ამჟამად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.

გაშვილების ხელშეწყობის სააგენტოს დახურვა ემუქრება

ინგლისში დარჩენილმა გაშვილების ხელშეწყობის ერთადერთმა კათოლიკურმა სააგენტომ Catholic Care შეიძლება არსებობა შეწყვიტოს, რადგან უარს ამბობს ჰომოსექსუალური წყვილებისთვის ბავშვების მიშვილებაზე.

მიუხედავად იმისა რომ, ლორდთა პალატის მარტის თვის დადგენილებით, სააგენტოს უფლება აქვს, უარი თქვას ერთსქესიანი წყვილებისათვის ბავშვების მიშვილებაზე, რადგან ეს კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას ეწინააღმდეგება, ამა წლის 17 აგვისტოს საქველმოქმედო საქმეთა სახელმწიფო კომისიამ განაცხადა, რომ მეტად აღარ დაუშვებს ამგვარ დისკრიმინაციას.

კომისია „სათანადოდ აფასებს სააგენტოს მნიშვნელოვან და ხარისხიან მუშაობას“, მაგრამ გასულ წელს დამტკიცებული კანონის თანახმად, დისკრიმინაცია, არატრადიციული სქესობრივი ორიენტაციის საფუძველზე, „ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპებს“.

კომისიის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჰომოსექსუალებსაც შეუძლიათ, კარგი მშობლები იყვნენ და მათი დისკრიმინაცია, რელიგიურ შეხედულებათა გამო, დაუშვებელია. თუკი სააგენტო Catholic Care არსებობას შეწყვეტს, ბავშვები, რომლებიც მას უნდა გაეშვილებინა, სხვა სააგენტოების მიერ გაშვილდებიან.

Catholic Care 1863 წელს დაარსდა. დღეისთვის ეს გაშვილების ხელშეწყობის ერთადერთი კათოლიკური სააგენტოა. თანასწორობის ბულის დამტკიცებამდე, ქვეყანაში 12 ამგვარი სააგენტო მოქმედებდა.

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

პადრე ნინო

საქართველოში თვრამეტწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მამა ივან მარტინი იტალიაში მიემგზავრება მსახურების გასაგრძელებლად. განშორება ყოველთვის მტკივნეულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისეთი ახლობელი და ღვთისნიერი ადამიანი გვტოვებს, როგორიც მამა ნინოა. იგი იტალიის მკვიდრია და ახლა, ამდენი წლის შემდეგ, კვლავ თავის ხალხს, თავის ქვეყანას უბრუნდება; უბრუნდება იმ კუთხეს, რომელიც ასე ძალიან უყვარდა. იქ მას მოუთმენლად და სიხარულით ელიან, მაგრამ ჩვენ, ქართველი კათოლიკეები, სულის სიღრმემდე შეძრულნი, გულისტკივილით ვემშვიდობებით პადრე ნინოს, ჩვენს საყვარელ მოძღვარსა და მეოხს, ძვირფას მასწავლებელსა და მეგობარს. ნუგეშად კი ის გვრჩება, რომ ის არ დაივიწყებს თავის პაციენტებს, მეგობრებს, სტუდენტებს და წელიწადში ერთხელ მაინც ეწვევა საქართველოს, თავის მეორე სამშობლოს.

მამა ივან მარტინს, რომელსაც სიყვარულით ყველა მამა ნინოს სახელით მიმართავს, ალბათ, განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება საქართველოს კათოლიკეების (და არა მარტო მათ, არამედ საქართველოს მოსახლეობის არცთუ ისე მცირე ნაწილის) წინაშე.

მ. ნინო — დიდბუნებოვანი, კეთილი, მოსიყვარულე, საქმიანი, პრინციპული, სამართლიანი, კორექტული..., — ეს ალბათ ეპითეტების არასრულყოფილი სიაა, რომლითაც შეიძლება მისი პიროვნების დახასიათება.

მ. ნინო უკვე 18 წელია, რაც კავკასიაში იმყოფება, კერძოდ, რამდენიმე წელი სომხეთში აშტოცკის საავადმყოფოს ადმინისტრირებას ხელმძღვანელობდა (სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ, რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ აჩუქა სომხეთის დაზარელებულ მოსახლეობას), მერე კი საქართველოშიც ჩამოვიდა და „საქართველოს კარიტასის“ მიერ დაწყებულ პოლიკლინიკის მშენებლობას კურირებდა.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ, „საქართველოს კარიტასმა“ პოლიკლინიკის შენობა კამილიელთა ორდენს გადასცა და 1998 წლის 5 აპრილს აკურთხეს „კაცთა მაცხოვრის“ სახელზე. ამ დღიდან მამა ნინო ამ პოლიკლინიკის დირექტორი და სულუსჩამდგმელი იყო.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა, კათოლიკურმა ეკლესიამ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი გააკეთა საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად და ახლად გახსნილი ამბულატორია, „საქართველოს კარიტასთან“ ერთად, უანგაროდ ჩადგა ხალხის სამსახურში — უფასოდ მკურნალობდა მრავალ გაჭირვებულ, ავადმყოფ და მიუსაფარ ადამიანს, ასევე, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ეკონომიკურადაც.

პოლიკლინიკის დაარსებას დიდი შეფასება მისცა წმიდა მამამ, იოანე პავლე მეორემ. კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის, მეუფე ჯუზეპე პაზოტოსადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „... განსაკუთრებულად თბილი სიტყვებით მინდა მივმართო წმ. კამილოს ბერებსა და მონაზვნებს, რომელთაც იმთავითვე თავს იდვეს ინიციატივის კონკრეტულად ხორცშესხმაზე ზრუნვა. თქვენს გვერდით მათი ყოფნა თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რამდენად უდგას მხარში ქართველ მორწმუნეებს კათოლიკე ეკლესია, თუ როგორი საყოველთაო პატივისცემითა და მეგობრობით სარგებლობს ქართველი ხალხი, ხალხი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში მძიმე სისხლის ფასად შეინარჩუნა ქრისტიანული რწმენა...

ვისურვებდი, რომ პოლიკლინიკა, რომელიც ახლა საზეიმოდ გაიხსნება, ყოფილიყოს ყველა ქართველის მიმართ ჩემი სიახლოვისა და სიყვარულის ნიშანი, ყოფილიყოს იმ სიყვარულის თვალნათელი მოწმობა, რომელსაც იჩენენ ქრისტიანები გაჭირვებაში მყოფ ადამიანთა მიმართ. ქრისტიანებმა იციან, რომ უფალი გულისხმიერ სამსახურს ითხოვს, სახარებისეულ სამსახურს, რომელიც კონკრეტულად გამოიხატება ყველა იმ ადამიანის სახით, ხელით და გულით, ვინც კეთილი სამარიტელივით გაჭირვებული კაცის თავზე იხრება. ქველმოქმედების ყოველი ჟესტი ამრიგად იმ საღვთო მოწყალების ცხად და ნუგეშისმცემელ გამოხატულებად იქცევა, რომელიც პირს უკრავს ჭრილობებს, ტირილს სიხარულად და სულიერ სიმშვიდედ ცვლის.

ამის გამო დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ადამიანი, ვინც ამ სოციალურ-სანიტარულ დაწესებულებას მიმართავს, კეთილგანწყობასა და პროფესიონალიზმს ჰპოვებს, ნახავს, რომ პატივისცემით ეკიდებიან თითოეულ პიროვნებას, რადგანაც ყოველი ადამიანი ღვთის სახედ და ხატად არის შექმნილი. სწორედ სახარებისეული სულის გათვალისწინებით, ღარიბ, ობოლ და მოხუც ავადმყოფებს უფასოდ უმკურნალებენ...“.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, კატასტროფული მდგომარეობა სუფევდა, მსგავსი სამკურნალო დაწესებულების გახსნა მართლაც უფლის მიერ მოვლენილი ნუგეში იყო. სწორედ ამიტომ მის გახსნას ესწრებოდნენ მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მისი უწმიდესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. მისმა უწმიდესობამ, ილია მეორემ პოლიკლინიკას გადასცა თავისი საჩუქარი: დიდი სანთელი წმიდა ქალწულის გამოსახულებით და კერამიკის ლარნაკი წმ. ნინოს გამოსახულებით.

პოლიკლინიკის გახსნასთან დაკავშირებით, მამა ნინო წერდა: „ოცნება, დაწყებული 1992 წელს, რეალური გახდა. თბილისის დიდი და ქაოსური რაიონის გაჭირვებულ ადამიანებს აქვთ ადგილი, სადაც მიიღებენ და გაუწევენ მკურნალობას,“ იმ სიყვარულით, რომელიც აქვს დედას ერთადერთი ავადმყოფი შვილის მიმართ“...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პოლიკ-

ლინიკა „კაცთა მაცხოვარი“ მამა ნინოს განხორციელებული ოცნება და საყვარელი პირმშოა. ამ პერიოდის განმავლობაში, მან ხალხის დიდი სიყვარული მოიხვეჭა და იგი ყოველთვის ემახსოვრებათ საქართველოში. სწორედ იმ დროს, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა ქართველ ხალხს, კამილიელები, მ. ნინოს მეთაურობით, მხარში ამოუდგნენ მას და, კეთილი სამარიტელის მსგავსად, ბევრი ადამიანი გადაარჩინეს.

მ. ნინო მრავალმხრივი პიროვნებაა, როგორც პედაგოგი — ფილოსოფოსი, მრავალი წლის მანძილზე დაუღალავად იღვწოდა სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში (ყოფილი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი). სტუდენტებისათვის იგი იყო ერთ-ერთი გამორჩეული პროფესორი და მეგობარი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის უნივერსიტეტის აღორძინება-გაფართოების საქმეში. მის მიერ დამუშავებული და გამოცემული სქელტანიანი წიგნი — ფილოსოფიის ისტორია ერთადერთი წიგნია ქართულ ენაზე, რომელშიც სრულყოფილადაა აღწერილი ყველა დროის ფილოსოფოსთა ნააზრევ-ნაღვაწი. ვფიქრობთ, ეს წიგნი ქართველი ხალხისადმი სიყვარულით მიძღვნილი კიდევ ერთი დიდი საჩუქარია. ამ წიგნით გაიზრდება არაერთი თაობა და მ. ნინოს სახელი არასოდეს მიეცემა დავიწყებას.

მ. ნინო თავადაც მტკივნეულად განიცდის უნივერსიტეტის დატოვებას; როგორც რექტორთან კერძო საუბარში აღნიშნა, მას უკვე მომზადებული ჰქონდა ექვსი თვის ლექციების კურსი, რაც მის დიდ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

მე ბედნიერება მქონდა, დავსწრებოდი წეროვანში 10 აგვისტოს მ. ნინოს გამოსამშვიდობებლად მოწყობილ ღონისძიებას, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, ყოველთვის მემახსოვრება მ. ნინოს თვალებზე აკიაფებული ცრემლი, რომელიც თან ახლავს განშორებას. ცრემლები ყველა მათგანის თვალებში დავინახე, ვინც მის გასაცილებლად მოვიდა: საქართველოში მოღვაწე ყველა კონგრეგაციის მღვდლები, მონაზვნები და რამდენიმე საერო პირი.

მამა ნინომ ქართველ და იტალიელ ხალხს წასვლის წინ კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი უძღვნა. მის მიერ იტალიურად დაწერილი და გამოცემული წიგნი — BBreve storia della chiesa cattolica latina in Georgia (ლათინური წესის კათოლიკეთა მოკლე ისტორია საქართველოში), ქართველების შესახებ თქმული კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი იქნება იტალიაში. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და მდიდარია ფოტომასალით. ფოტოების დათვალიერების შემდეგ, იტალიური ენის უცოდინარი მკითხველისთვისაც კი ნათელი გახდება საქართველოში კათოლიკეების მიერ განვლილი გზა. მ. ნინომ იმაზეც იზრუნა, რომ ამ წიგნს ყოველი კათოლიკეს წიგნების თარო დაემშვენებინა (რის საშუალებასაც წიგნის ტირაჟი იძლევა). დიდი მადლობა მას, ასეთი ძვირფასი საჩუქრისათვის.

მამა ნინომ საგზლად უამრავი კეთილი სურვილი და სამახსოვრო საჩუქრები მიიღო.

ციცინო ხითარიშვილი

ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს გამოსამშვიდობებელი სიტყვა

დარწმუნებული ვიყავი, რომ გამომშვიდობება უნდა მომხდარიყო ლოცვის გარემოში; როდესაც მ. ნინომ გაიგო, რომ თავისი ორდენი იტალიაში უხმობდა და საქართველო უნდა დაეტოვებინა, ის კი არ მითხრა, არ მესმის, რატომ უნდა წავიდეო, არამედ, — საჭიროა ღმრთის ნების აღსრულებაო. ღმრთის ნების აღსრულება კი ისაა, შეაბიჯო ფერისცვალების ოხვრაში. ჩვენ რომ სიჩუმეში დარჩენა შევძლოთ, მოვისმენდით ადამიანთა ოხვრას და კვნესას. წმ. პავლე გვასწავლის, რომ არის სამი სახის ოხვრა: 1) ქმნილების ოხვრა, ეს ოხვრა გვესმის გულით და ყურით, როდესაც ხალხში ყოფნა გვიწევს. ხშირად ეს იმედით სავსე ოხვრაცაა; 2) მორწმუნის ოხვრა, რომელიც გვაძლევს იმ ხსნას, უფლისგან რომ მოდის. ეს არის მეგობრის სიშორით, სიყვარულის სისავსის არქონით გამოწვეული ოხვრა; 3) სულის ოხვრა, სისუსტე, რომელსაც ჩვენ განვიცდით, მაგრამ ამ დროს სულიწმიდა მოდის და ჩვენთან ერთად ოხრავს. ეს ის წუთებია, როდესაც ჩვენი საზრუნავსადარდებელი ღმერთისკენ მიემართება. ამ სამი სახის ოხვრას თავს მოვუყრიდი ერთში — ფერისცვალების ოხვრაში. ფერისცვალებისას იესოს ვინაობა ვლინდება და მოციქულები მასში ღმერთს ხედავენ.

ფერისცვალება ნიშნავს, ვეძიოთ საკუთარი ვინაობა და აღმოვაჩინოთ, რომ ვართ ღმრთის შვილები. ფერისცვალება გზაა და აქვს სხვადასხვა ეტაპი. მ. ნინოს მიერ საქართველოში განვლილი ფერისცვალების ეტაპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

მ. ნინო, პირველ რიგში, მინდა გითხრათ გულწრფელი, ალალი მადლობა იმისთვის, რომ შენი თავი აჩუქე ჩვენს ეკლესიას. მეორე, იმ სიმშვიდისათვის, მშფოთვარების ჟამს რომ გვჩუქნიდი; მესამე, გულწრფელობისთვის, შენს თვალებში რომ გამოსჭვიოდა მუდმივად; და მეოთხე, შენი რწმენისთვის, რომელიც დაგვეხმარა იმ მძიმე გზის გავლაში, ერთად რომ მივუყვებოდით რწმენით.

ძვირფასო მ. ნინო, კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ შევჩერდეთ ამაზე. აი, სწორედ ესაა ის ფერისცვალების ოხვრა, რომელიც შენ განახორციელე ჩვენს ეკლესიაში.

მთელი ეკლესიის, ყველა მორწმუნის სახელით, გისურვებთ ღვთის კურთხევას და დარჩენილი გზის სახელოვნად გაგრძელებას.

პადრე ნინოს სამადლობელი სიტყვა

ძვირფასო ეპისკოპოსო, მაშინ, როცა გითხარით ღვთის ნების აღსრულების შესახებ, ბიბლიიდან კიდევ ერთი წინადადება დავამატე: ჩემი აზრები, თქვენი აზრები არაა და ჩემი გზები თქვენი გზები არ არისო, — ეს ჩემი საყვარელი სიტყვებია, მაგრამ ხშირად მავიწყდებოდა, რომ ისინი მეც მეხებოდა.

მე მრავალი წლის განმავლობაში ვცხოვროდი საქართველოში და ყოველთვის ველოდი შინ დაბრუნებას. რეალისტები რომ ვიყოთ, ვერც კი უნდა წარმომედგინა, რომ აქ ამდენ ხანს დავრჩებოდი. როდესაც 1992 წლის იანვარში სომხეთში ჩავედი, ვერც ვიფიქრებდი, რომ კავკასიაში გავჩერდებოდი, ისე, როგორც იოანე პავლე პირველი ამბობდა, ვენეცია დავტოვე და არ ვიცოდი, რომ პაპი გავხდებოდიო.

რამდენიმე თვით ჩამოვედი, რათა დამეარსებინა საავადმყოფო, ჩამოვედი ცნობისმოყვარეობის გამო, რას აკეთებდნენ „ბავშვიჭამია“ კომუნისტები ამ ქვეყანაში და ორ-სამ თვეში უკან დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ სამი თვე 18 წლად იქცა და მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. ეს იყო ბედნიერი 18 წელი. სადაც კი ვმუშაობდი, ყველგან ხალხის სითბოს ვგრძნობდი, მეც ვცდილობდი, შემეყვარებინა ისინი. კავკასიაშიც ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, რადგანაც ხალხის სიყვარულით ვიყავი გარემოცული.

საყვარელ ადამიანთან განშორება, ბუნებრივია, ტკივილთანაა დაკავშირებული, მიუხედავად იმისა რომ სამშობლოში ვბრუნდები. მაგრამ მე გადავდივარ ერთი სიყვარულიდან მეორეში, და იქაც შევეცდები ამ სიყვარულის ჩვენებას, ხალხის ტკივილისა და სიხარულის გაზიარებას.

როდესაც სომხეთში ჩავედი, აღარ დამხვდა კათოლიკური ეკლესია და მე მოწმე გავხდი ახლის დაბადებისა. თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაშიც მხოლოდ მამა იან სნეჟინსკი დამხვდა, ახლა კი ვხედავ ამ ეკლესიის აყვავებას. მე მოწმე გავხდი ღვთის დიდი საქმეებისა საქართველოში.

როდესაც საქართველოში პოლიკლინიკის მშენებლობა დავიწყე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ აქ მომიწევდა მუშაობა, რადგანაც შენობას „კარიტასი“ აშენებდა, ჩვენ საწყისი უნდა მიგვეცა სამუშაოსთვის და მერე უკან გავბრუნებულიყავით. მხოლოდ 2003 წელს, როდესაც სტაბილური სახე მიეცა ჩვენს მუშაობას, მაშინ დაიწყო სამი, ექვსი და ცხრაწლიანი ვადები, მაგრამ, როგორც ხედავთ, დღემდე გადმოიწია და, როგორც ყოველთვის, დგება დრო, როცა სხვას უნდა დაუთმო ადგილი.

არ ვიცი, რა მელის იტალიაში, ეს მომავალში გაირკვევა; ალბათ, მომიწევს რომელიმე საავადმყოფოს კაპელანობა. იმედია, მივდივარ იქ, სადაც კარგად ვიგრძნობ თავს, ვნახავ ძველ, საყვარელ მეგობრებს, რომლებიც სულ მეკითხებოდნენ, როდის დაგვიბრუნდებიო.

მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ, ასევე ეკლესიას, კარიტასს. განსაკუთრებით მწყდება გული სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტზე, რომელიც ჩემთვის ძალზე ლამაზი გამოცდილება იყო. რადგანაც, სადაც შეგიძლია შენი ცოდნა გადასცე ხალხს, სწორედ იქ ხდება საძირკვლის ჩადება ეკლესიისა და საზოგადოების მშენებლობისათვის.

მინდა, ვთხოვო ეპისკოპოსს, რომ განსაკუთრებით დაიცვას ჩვენი განძი, ესაა „კარიტასი“ და სულხან-საბას უნივერსიტეტი.

საქართველოში აუცილებლად დავბრუნდები, როგორც ტურისტი, და შევძლებ, კვლავაც გავიხარო თქვენი მეგობრობითა და სიყვარულით.

კიდევ ერთი სევდიანი გაცილება

პირველ აგვისტოს, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაში, დილის საკვირაო წირვაზე, მამა ადამმა ყველასათვის მოულოდნელად გამოაცხადა, რომ კამილიელთა პოლიკლინიკის — „კაცთა მაცხოვარი“ დირექტორი, მამა ივან მარტინი (პადრე ნინო) ორი კვირის შემდეგ დატოვებდა საქართველოს. ეს ახალი ამბავი გვეწყინა, რადგანაც მისი გულისხმიერება და კაცთმოყვარეობა ყველასთვის ცნობილი იყო.

გაცილებამ უბრალოდ ჩაიარა; დარწმუნებული ვარ, ეს პადრე ნინოს მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარეობდა. როდესაც მ. ადამმა მის შესახებ ისაუბრა და მადლობა გადაუხადა მას ქართველი ხალხის მიმართ გაწეული დიდი ღვაწლისათვის, მ. ნინოს აშკარად ემჩნეოდა უხერხულობა; გამოსათხოვარი სიტყვაც ძალიან მოკლე და მოკრძალებული იყო.

მამა ივან მარტინი: 18 წელია, საქართველოში ვარ. აქ უფრო ცნობისმოყვარეობის გამო ჩამოვედი. ეს იყო შევარდნაძის პერიოდი. რესპუბლიკა სავალალო მდგომარეობაში დამხვდა. არც ეკლესიებში იყო უკეთესი მდგომარეობა. მხოლოდ ორი მღვდელი მოღვაწეობდა: მამა იან სნეჟინსკი და, ცოტა მოგვიანებით, მამა ადამ ოხალი. სულ სხვა მდგომარეობაა ამჟამად, როგორც ქვეყანაში, ასევე ეკლესიაში. საქართველო აყვავების პროცესშია.

რაც შეეხება ჩემს მოღვაწეობას, ღმრთის დახმარებით, ცოტა რამის გაკეთება შევძელით. ჩემი აქ ყოფნის პერიოდში, აშტოცკში (სომხეთი) აშენდა საავადმყოფო, საქართველოში გაიხსნა პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვარი“, „სან-კამილოს“ ინვალიდთა სახლი, შენების პროცესშია თემქაზე ინვალიდთა სახლის ახალი შენობა, რომელიც მოიცავს 4600 კვ.მ. ფართობს და დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდება.

გულისტკივილით ვტოვებ საქართველოს. მივდივარ მდიდარი შთაბეჭდილებებით სავსე. ჩემს შემდგომ მომავალს ღმერთი გადაწყვეტს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, რომ ყოველთვის გვემახსოვრება ერთმანეთი და ვილოცებთ ერთმანეთისთვის.

ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

მამა ნინოს შესახებ სხვებსაც ვთხოვე აზრის გამოთქმა.

ხათუნა ტელოიანი, „კამილიელთა ოჯახის“ პრეზიდენტი: პადრე ნინოს გვერდით ყოფნა სასიამოვნო იყო, რადგანაც ის ყოველთვის იმედს გვაძლევდა, ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო, დიდად ზრუნავდა ჩვენზე და დახმარებას გვიწევდა.

მაია ანთიძე, „კამილიელთა ოჯახის“ წევრი: პადრე ნინო სპეტაკი, გულწრფელი ადამიანია, ყოველთვის ზრუნავს ავადმყოფებზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩვენში იესო ქრისტეს ხედავდა. რამდენიმე თვის წინ ოპერაცია დამჭირდა, როდესაც ეს პ. ნინომ გაიგო, აშტოცკში წაყვანა შემომთავაზა, მაგრამ, საბედნიეროდ, აქაც გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები და წასვლა აღარ დამჭირდა. დიდი მადლობა პ. ნინოს ასეთი გულისხმიერებისათვის.

სვეტა შავერდაშვილი, პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვარის“ პაციენტი: გაგება, ზრუნვა, ადამიანური სიყვარული, — აი, ის ყველაფერი, რასაც გრძნობ პოლიკლინიკაში მისვლისას. (მადლობა მთავარ ექიმს!) ეს ყველაფერი კი მამა ნინოს დამსახურებაა. ასე გგონია, თავად წმ. კამილო გკურნავს.

წირვის დასასრულს, პადრე ნინოსთან გამოსამშვიდობებლად რიგი დადგა. ყველას უნდოდა, პირადად ეთქვა მადლობა და გზა დაელოცა მისთვის.

დალოცვილმა იარე, პადრე ნინო!

ნადია ჩიტაძე

მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის დღესასწაული

წეროვანის ლამაზი დღე ანუ ახალი ტრადიციის სათავეებთან

კათედრალის მრევლის წევრებმა წმ. ღვთისმშობლის დღესასწაულის წინა კვირა ერთად გაატარეს წეროვანში

„აჰა, რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები“! (ფს. 132.), — სამი ათასი წლის წინ მეფე დავითის მიერ წარმოთქმული ფსალმუნის ეს ფრაზა რეფრენად გასდევდა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე წეროვანში ერთად შეკრებილი მრევლის წევრების კონვენციას.

კონვენცია ლათინური სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით ერთად ცხოვრებას ნიშნავს, ისე კი რელიგიური რიტუალების შესრულების მიზნით, მორწმუნეთა

და მოძღვართა ტაძრის გარეთ ერთად ყოფნას (ერთი, ან რამდენიმე დღით) აღნიშნავს. კონვენციები ხელს უწყობს მრევლის წევრთა ურთიერთგაცნობასა და დაახლოებას, რათა მრევლი, რომელიც მრავალრიცხოვან, სხვადასხვა ინტერესებისა და სტატუსის მქონე სოციალური ჯგუფების ნაკრებს წარმოადგენს, ნამდვილი ქრისტიანული სიყვარულით აღვსილ საკრებულოდ ჩამოყალიბდეს. კონვენციების დროს მორწმუნეები არა მხოლოდ ერთად მონაწილეობენ წმ. წირვებში, იღებენ ზიარებას, ლოცულობენ, ან აღსარებას აბარებენ, არამედ ერთად იღებენ ტრაპეზს, იყოფენ ლუკმას, რაც, ქრისტიანული თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი მომენტია. კონვენციების დროს მორწმუნეებს თავიანთი ოჯახის წევრებიც მოჰყავთ, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა, სხვა კონფესიის, ან საერთოდაც არამორწმუნე იყოს, მაგრამ ერთად გატარებული დღის განმავლობაში ადამიანები უკეთ ეცნობიან ერთმანეთს, (სხვათა შორის, ოჯახის წევრებსაც უკეთ გაიცნობენ ხოლმე), შემდგომ კი ინფორმაციის დეფიციტით ნასაზრდოები უნდობლობა, ან ნეგატიური დამოკიდებულება ქრება, სამაგიეროდ, რჩება ფსალმუნის ფრაზაში ნახსენები გრძნობები.

გასულ, 2009 წელს, როდესაც წმ. ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების დღესასწაულისთვის მზადება მიმდინარეობდა, (ეს თარიღი თბილისის კათედრალის აღდგენის მე-10 წლისთავის იუბილეც გახლდათ), მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ ახალ, ღამაზ ტრადიციას დაუდო სათავე: მოუწოდა კათედრალის მთელ მრევლს, ტაძრის დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე, წეროვანში, თანაზიარებასა და სიხარულში ერთად გაეზიარებინა ეს დღე. კონვენციის დღე მართლაც გამორჩეული აღმოჩნდა მონაწილეთათვის, რომელთა ნაწილმაც თავიანთი შთაბეჭდილებები რეპორტაჟის სახით ჟურნალ „საბას“ მკითხველსაც გაუზიარა. ჩვენ ვთხოვეთ ზოგ მონაწილეს, გაეხსენებინა გასული წლის შეხვედრა და წლევანდელი შეხვედრის შთაბეჭდილებებიც გაეზიარებინა.

8 აგვისტოს თავისუფლების მოედნიდან ზუსტად ათის ნახევარზე (ეს პუნქტუალობა მართლაც დასაფასებელი და მისაბაძი უნდა იყოს ყველასათვის) კათედრალის მრევლის წევრები, ეპისკოპოსი და ტაძრის წინამძღვარი მ. ანდრეი გაემგზავრნენ წეროვანის სულიერების ცენტრისაკენ. აქ ულამაზესი კედრების ჩრდილქვეშ მოწყობილი მცირე ამფითეატრი მორწმუნეთა შეხვედრის მთავარ ცენტრად ქცეულიყო. ალბათ, შემთხვევითი არ უნდა იყოს კედრების ჩრდილში წმ. წირვის აღვლენა და ღმრთისმსახურება. სწორედ ლიბანის კედარს უგალობს თავის ჰიმნებში ბიბლიური მეფე დავითი, ხოლო მეფე სოლომონმა კედრის ხის მერქნისაგან ააგო ღვთის ტაძარი. „რუსეთის მოგუგუნე კედრები“ — ამ სათაურით კედრის ხის გასაოცარ ენერგეტიკას წიგნების მთელი სერია მიუძღვნა ვლადიმირ მეგრემ (ვ. მეგრეს წიგნები ქართულადაც არის ნათარგმნი), და ადამიანის ზნეობის განწმენდისათვის მსოფლიოში ცნობილი მოძრაობაც დააფუძნა. ასე რომ წეროვანის „მოგუგუნე კედრების ჩრდილქვეშ“ შეკრებილ ადამიანებს გულის გადახსნისათვის ამ საოცარი ხეების ენერგეტიკაც უწყობდა ხელს.

თბილისის გაუსაძლისი ხვატის შემდგომ, წეროვანის კედრების ჩრდილქვეშ რაღაც საოცარი განწყობა დაეუფლა ყველას: წმ. წირვა, სავარდის ლოცვა, სულიერი საუბრები და აქტიური დასვენების პერიოდი, ეპისკოპოსის მიერ მოწყობილი სიურპრიზების კასკადი, როდესაც ასაკოვანი ადამიანებიც კი ბავშვობის წლების თავდავიწყებაში გადაეშვნენ, ყველაფერი ეს ისე ლამაზად და გემოვნებით იყო შერჩეულ-შეთანხმებული ერთმანეთთან, და ეს ერთობლიობა ისეთ ჰარმონიულ განწყობას ქმნიდა, რომ დღე თვალის დახამხამებაში ისე სწრაფად გაიპარა და თბილისში დაბრუნების ჟამი მოვიდა, რომ არავის გასჩენია დაღლის ან მოწყენის, ან თუნდაც მარტო ყოფნის სურვილი. ამით რეალურად ხაზი გაესვა კონვენციის არსსა და მიზანს. ქრისტიანული მრევლის თანაცხოვრება სულიერი ერთიანობაა. სწორედ ამას გაუსვა ხაზი ეპისკოპოსმა თავის ქადაგებაში, რომ უნდა შევეცადოთ, ვიყოთ ერთად, ერთ საკრებულოდ, და არა ისე, რომ განმარტოებას ვესწრაფვოდეთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეპისკოპოსის სურვილი მრევლის წევრების ერთიანობისა, შესრულდა. წმ. წირვის, ან სავარდის ლოცვის დროს, საერთო ვითარება აიძულებს ადამიანებს ერთიანობას, მაგრამ როდესაც თავისუფალი დრო დგება, ზოგი ცდილობს განმარტოებას, თავს არიდებს სულიერ და-ძმებთან ურთიერთობას და ამის მიზეზი მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალიზმი როდია, ხშირად შეკრების ანიმატორის არაკომპეტენტურობის, ან დაუდევრობის ბრალიცაა. წეროვანის კონვენციის ორგანიზებას თუ გავაანალიზებთ, სრულიად ადვილად დავრწმუნდებით, რომ არა მხოლოდ ეპისკოპოსისა და მ. ანდრეის, არამედ ნებისმიერი ანიმატორისა და მონაწილის მონდომება ნასაზრდოები იყო ერთიანობის სურ-

ქრისტიანობის ლექსიკონი

რამდენიმე წელია, სამოციქული ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, დაიწყო მზადება ქრისტიანობის ლექსიკონის გამოსაცემად, რომელიც ყველა დაინტერესებულ მკითხველს — კათოლიკესა და არაკათოლიკეს, მორწმუნესა და არამორწმუნეს — მოკლე, მაგრამ სანდო ცნობებს მიაწვდის ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვრების, ეკლესიის ისტორიისა თუ ლიტურგიული ცხოვრების შესახებ. ამავე დროს, აქვე მოწოდებული იქნება საჭირო ინფორმაცია სხვა რელიგიათა შესახებ.

ლექსიკონს საფუძვლად დაედო პიერო პეტროზილოს (Piero Petrosillo) მოკლე ენციკოლოპედიური ცნობარი „Il Cristianesimo dalla A alla Z: Lessico della fede cristiana„, რომელიც იტალიურიდან თარგმნა **მარიკა სააკაშვილმა** პროფესორ **მერაბ ღაღანიძის** რედაქციით.

ჟურნალ „საბას“ სარედაქციო საბჭომ გადაწყვიტა, სანამ ლექსიკონი ცალკე წიგნად დაიბეჭდება, მკითხველს ნაწილობრივ მიაწოდოს ხოლმე მომზადებული მასალა. იმედია, მკითხველთა მიერ შენიშნული შეცდომები და უზუსტობანი გასწორდება ლექსიკონის წიგნად გამოცემისას.

ყოველგვარ გამოხმაურებას რედაქცია მადლიერებით მიიღებს. **მერაბ ღაღანიძე**

აბაკუსი [ბერძ. abax, შემდეგ ლათ. abacus „(საანგარიშო) დაფა“] პრესბიტერიუმში — მღვდლის სამყოფელში — მდგომი პატარა მაგიდა, რომელზეც წირვის აღსრულებისათვის საჭირო წმიდა ჭურჭელი და სხვა ლიტურგიული საგნები ლაგდება. არქიტექტურაში: სვეტის კაპიტელის ზედა ნაწილი, რომელსაც ეყრდნობა არქიტრავი ან თაღი.

აბატი [არამ. „abba“ „მამა“] ბერმონაზვნობის საწყის პერიოდში, უმთავრესად ეგვიპტესა და სირიაში, ასე უწოდებდნენ სულიერ მოძღვრად არჩეულ მონაზონს. დღეს ეს სიტყვა აღნიშნავს დამოუკიდებელი მონასტრის წინამძღვარს, არჩეულს მონასტრის კაპიტულუმის მიერ საიდუმლო კენჭისყრით, რომელსაც აქვს სრული ძალაუფლება მონასტრის შიდა თუ გარე საქმიანობაში, თანამდებობაზე მისი ყოფნის დრო კი განისაზღვრება ცალკეულ მონასტერთა თუ ორდენთა წესდებითა და კონსტიტუციით. ეს არ გამორიცხავს, რომ აბატი შეიძლება ექვემდებარებოდეს სამონასტრო კონგრეგაციის უპირატესს ან წინამძღვარს.

აბატისა [არამ. „abba“à, „მამა“, ლათ. ფორმა abbatissa] ქალთა მონასტრის წინამძღვარი.

აბიტინო სიტყვა „სამოსის“ (abito) კნინობითი ფორმა: ქსოვილზე ნაქარგი ან ქსოვილის პატარა პარკში ჩასმული მცირე ზომის წმიდა ხატი, რომელსაც ყელსაბამის მსგავსად, ტანსაცმლის ქვეშ ატარებენ მოწინეების ნიშნად.

აბორტი [ლათ. abortus, წარმოებული ზმნიდან aboriri (უარყოფითი ნაწილაკი ab + oriri „დაბადება“)] ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ანუ ნაყოფის განადგურება არასიცოცხლისუნარიან ასაკში საშვილოსნოდან მისი განდევნის გზით. აბორტის დაგმობა საეკლესიო მოძღვრების უცვლელი საკითხია, რაც ვატიკანის მეორე კრებამაც განამტკიცა შემდეგი სიტყვებით: „აბორტი, ისევე როგორც ბავშვის მკვლელობა, საშინელი დანაშაულია“ (GS 51). აბორტი განკვეთით ისჯება (CIC კან. 1398).

აბსოლუტური [ლათ. absolutus, ნამყოს მიმღეობა ზმნისა absolvere „განთავისუფლება“] ის, რაც არაა განპირობებული ან დამოკიდებული რამე სხვაზე, „სრულია თავისთავად და თავისით“, არაა დაკავშირებული წარმავალობის ქმნადობასთან და დროისა და სივრცის კატეგორიებთან.

აგნოსტიციზმი [ბერძნულიდან ágnostos „უცნობი“] ეს სიტყვა 1869 წელს შექმნა ინგლისელმა ნატურალისტმა თ. ჰაქსლიმ (1825-1895). აგნოსტიციზმი აღნიშნავს იმ ადამიანის პოზიციას, რომელიც თავს იკავებს მეცნიერული თვალსაზრისით გადაუწყვეტელ პრობლემათა შესახებ მოსაზრების გამოხატვისაგან. ფილოსოფიაში აგნოსტიციზმი აღნიშნავს სულიერ დამოკიდებულებას, რომელიც უარს ამბობს, გამოხატოს საკუთარი განსჯა აბსოლუტისა და ღმრთაებრივის არსებობისა და ბუნების შესახებ.

აგრაფა [ბერძ. á á-grapha(lógia) „დაუწერელი (სიტყვები)“] ამ სიტყვით აღინიშნება იესოს კანონიკურ სახარებაში ჩაუწერელი სიტყვები, გადაცემული ტრადიციისა და აპოკრიფების მეშვეობით.

ადვენტი [ლათ. adventus „მოსვლა“] ქრისტიანულ სახელდებაში ადვენტი აღნიშნავს მესიის მოსვლას, ვისაც ხანგრძლივად ელოდა ებრაელი ხალხი და რაც ქრისტიანთათვის იესო ქრისტეს განკაცებით აღსრულდა. მაგრამ ქრისტეს მოსვლა ჯერ სრულად არ განხორციელებულა: მსხემი ეკლესია ისევ ელის პარუსიას, მისი დიდებით დაბრუნებას. ლიტურგიაში ადვენტი ეწოდება შობის წინა პერიოდს, რომელიც ლიტურგიული წლის დასაწყისს აღნიშნავს. მისი პირველი ნაწილი მორწმუნეებს ქრისტეს დიდებული მოსვლის მოლოდინისათვის განაწყობს, მეორე კი (17-24 დეკემბერი) შობის ზეიმისთვის ამზადებს. რომაულ წესში ადვენტი ოთხ კვირას გრძელდება, ამბროსისეულში კი — ექვს კვირას.

ადვენტისტები [ლათ. adventus „მოსვლა“] ასე უწოდებენ ცალკეულ ქრისტიანულ სექტათა მიმდევრებს, რომლებიც ახლო მომავალში ელიან იესო ქრისტეს მეორე და საბოლოო „მოსვლას“. ამ მოძრაობის ფუძემდებლად მიჩნეულია უილიამ მილერი (1782-1849), ბაპტისტი ფერმერი მასაჩუსეტსიდან, რომელმაც „უამთა დასასრულის“ დადგომა 1843 წლისთვის ივარაუდა.

ამჟამად 50-ზე მეტი ადვენტისტური სექტა არსებობს. მათ შორის ყველაზე ცნობილია მეშვიდე დღის ადვენტისტები.

ადმინისტრატორი კანონიკური სამართლის კოდექსი ადმინისტრატორის სამ სახეობას აყალიბებს: ა) სამოციქულო ადმინისტრატორი: პირი, რომელსაც აკისრია სამწყსო ხელმძღვანელობა და მართვა უმაღლესი პონტიფექსის სახელით „ღმრთის ხალხის განსაზღვრული ნაწილისა, რომელიც საგანგებო და განსაკუთრებულად ღრმა მიზეზთა გამო არ არის დაარსებული დიოცეზად“ (CIC, კან. 371); მას ეწოდება სამოციქულო სავიკარიუსო ან სამოციქულო პრეფექტურა. ბ) სადიოცეზო ადმინისტრატორი: პირი, რომელსაც ევალება დიოცეზის მართვა იმ პერიოდში, როდესაც ეპისკოპოსის თანამდებობა ვაკანტურია (CIC, კან. 421); გ) სამრევლო ადმინისტრატორი: ეპისკოპოსის მიერ დანიშნული პირი, რომელიც განაგებს საკრებულოს, როდესაც ვაკანტურია წინამძღვრის თანამდებობა, ან წინამძღვარს არ შეუძლია სამწყსო საქმიანობის განხორციელება (CIC, კან. 539).

ადონაი [ებრ. სიტყვა „უფალო ჩემო“] ღმრთის საზოგადო მიმართვა-მოხმობა (დაბ. 15:2.8; 18:3.27, შმდ.; 19:18) და სახელი (ეს. 6:1). განდევნის შემდეგ მან შეცვალა წმიდა ტექსტებში იაჰვეს (Jhwh) სახელი, რომლის წარმოთქმაც შეუძლებელი იყო. სახელ Jhwh -ს თანხმოვანთა შორის სიტყვა „ადონაი“-ს ხმოვანთა ჩასმის შედეგად (=JaHo WaH) წარმოიქმნა შუა საუკუნეებში გავრცელებული მცდარი გამოთქმა იეჰოვა. ნ. იეჰოვას მოწმენი, უფალი, კირიოს.

ადოციონიზმი/ადოციანიზმი II საუკუნიდან აღმოცენებული ერესი, რომელიც აღმოცენდა ესპანეთში IV ს.-ის დასასრულსა და VIII ს.-ში და რომლის თანახმადაც იესო ნაზარეველი ღმრთის მიერ „აყვანილ“ შვილად მიიჩნეოდა. ამ მიმდინარეობის მიმდევართათვის იესო იყო უბრალო ადამიანი, რომელმაც თავისი სიქველითა და მორჩილებით ღმრთისაგან შვილად აყვანის პატივი დაიმსახურა.

ავგუსტინელი უკავშირდება ჰიპონელ წმ. ავგუსტინეს (354-430) ან ერთ-ერთ იმ რელიგიურ ორდენს, რომლებიც წმ. ავგუსტინეს წესდებას მისდევს (ნ. ავგუსტინეს წესდება). ავგუსტინელობა შუა საუკუნეებში აღმოცენდა და გავრცელდა, როდესაც ავგუსტინელთა რელიგიური გამოცდილება იურიდიულად ჩამოყალიბდა წესდების კანონიკოსთა, სამონასტრო-სამხედრო ორდენებისა (ნ. მალტის ორდენი, ტევტონთა ორდენი და ა.შ.) და უპოვართა ორდენების სახით. შუა საუკუნეებში, ასევე, დაარსდა ავგუსტინელ ქალთა სხვადასხვა მონასტერი, შემდგომში კი — საეროთა მესამე ორდენი.

ათეიზმი [ბერძ. a-theós სიტყვასიტყვით „ღმრთის გარეშე“, „უღმრთო“] აღნიშნავს იმ ადამიანთა იდეოლოგიურ პოზიციას, ვინც უარყოფს ღმრთის არსებობას. ათეიზმი შეიძლება იყოს: თეორიული ანუ ჭვრეტითი, როდესაც ღმრთის არსებობის ფორმალურ უარყოფასთან გვაქვს საქმე; პრაქტიკული, როდესაც ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს; სკეპტიკური, როდესაც ადამიანს გადაულახავად მიაჩნია ეჭვი ღმრთის არსებობის შესახებ; აგნოსტიკური, როდესაც ღმრთის არსებობის დაუმტკიცებლობა „აბსოლუტურად“ მიიჩნევა; თეორიულ-პოზიტიური, როდესაც საქმე გვაქვს ღმრთის არსებობის ნებისმიერი მტკიცებულების უარყოფის მცდელობასთან და იმის მტკიცებასთან, რომ ნამდვილი მტკიცებულება არასოდეს წარმოდგენილა და მისი წარმოდგენა ვერასოდეს გახდება შესაძლებელი.

აიათოლა [არაბ. ayat Allah „ღმრთის ნიშანი“] შიიტი მუსლიმები ასე უწოდებენ დიდ თეოლოგებს, მოძღვრებსა და ყურანის განმმარტებლებს, რომლებსაც ხალხზე რელიგიურ-პოლიტიკური გავლენა აქვთ.

აკოლითოსი [ბერძნ. akólythos „თანამგზავრი“, „ის, ვინც მიჰყვება“ და, ფართო მნიშვნელობით, „ის, ვინც ემსახურება“; გვიან ლათინურში akólythos ასე ეწოდება დანიშნულ და არა ხელდასხმულ ღმრთისმსახურს, რომელსაც ევალება წირვის მომსახურება, მღვდლისა და დიაკვნის დახმარება ლიტურგიულ მსახურებაში, განსაკუთრებით, წირვის აღვლენის დროს; მას, საგანგებო მსახურის ხარისხში, შეუძლია ზიარების მიცემა, წმიდა ნაწილების გამოტანა თაყვანისცემისათვის მორწმუნეთა წინაშე და შემდეგ მისი კვლავ შენახვა ტაბერნაკულუმში.

ალაჰი ღმრთის სახელი ისლამში; შედგება სიტყვისაგან „ღმერთი“, რომელსაც დართული აქვს ნაწევარი. ალაჰის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს ისლამური სარწმუნოების აღსარების, შაჰადის, პირველი ფრაზა: „არ არსებობს სხვა ღმერთი გარდა ღმრთისა“ („ლა ილაჰა ილლალაჰ“). ისლამის თანახმად, ადამიანურ საზომთა მეშვეობით ღმრთის უფრო ზუსტი განსაზღვრების შეუძლებელია, რადგანაც ღმრთის მსგავსი არაფერი არსებობს (ყურანი, 112,4; 42,11). თუმცა, იმავე ყურანში ღმრთის კონცეპტუალური განსაზღვრების მიზნით მოყვანილია ეგრეთ წოდებული „99 კეთილი სახელი“, რომლებიც სხვადასხვაგვარად აღწერს ღმრთის თვისებებს (მაგ. ალაჰი მოწყალეა, ღმობიერია, შემოქმედია, მსაჯულია...).

ალეგორია [გვიანლათ. allegoria (ბერძ. állos „განსხვავებული“ + წარმოებული ფორმა სიტყვიდან agoránein „ლაპარაკი“)]. რიტორიკული სიმბოლო გარკვეული რეალობის გადმოსაცემად, რომლის მეშვეობითაც ადამიანმა მისგან განსხვავებული სხვა რეალობა შეიძლება იგულისხმოს. ცნობილია ბიბლიის ალეგორიული ინტერპრეტაცია. წმ. ამბროსიმ ამგვარად განსაზღვრა ალეგორია: „Allegoria est, cum aliud geritur et aliud figuratur“ (ალეგორია ისაა, რითაც სხვა გამოიხატება და სხვა ჩამოყალიბდება).

ალელუია [ებრ. hallelù ù (ბრძანებითი კილო სიტყვისა hillel) „ადიდეთ“ და jah (შემოკლებული ფორმა სიტყვისა Jhwh) „უფალი“] ლიტურგიული შეძახილი, რომელიც

წინ უძღვის ფსალმუნებს 104-106; 111-113; 115-117; 135; 146-150. სააღდგომო პერიოდის ტიპური შეძახილი. ხშირად გალობით შერულებული „ალელუია“ წირვისას წინ უძღვის სახარების წაკითხვას, გარდა დიდი მარხვის პერიოდისა.

ალიანსი ცალკეულ პროტესტანტულ ორგანიზაციათა სახელწოდება: ა) **ევანგელური ალიანსი** (Evangelical Alliance) დაარსდა 1846 წელს, ლონდონში, სხვადასხვა სექტისა და სხვადასხვა ერის წარმომადგენელი 800 დელეგატის მიერ. ცხრა პუნქტისგან შემდგარ მის „სამოძღვრო საფუძველში“ ჩამოყალიბებულია წმიდა წერილის ინტერპრეტაციისას პიროვნული შეფასების უფლება და ვალდებულება, ამასთანავე, ცოდვის მხოლოდ რწმენით გამართლება; ბ) **პრესვიტერული ალიანსი ანუ რეფორმირებულ ეკლესიათა ალიანსი**, რომლებიც პრესვიტერული სისტემის თანახმად მოქმედებს. ეს გაერთიანება 1875 წელს დაარსდა ცალკეულ პრესვიტერულ ეკლესიათა შორის ურთიერთობათა და მათი მისიონერული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით; გ) **მსოფლიო ბაპტისტური ალიანსი** (Baptist World Alliance): 1905 წელს დაარსებული ეს ორგანიზაცია დაახლოებით 112 ქვეყნის 137.000 ადგილობრივ ეკლესიას აერთიანებს, მისი მთავარი ცენტრი ვაშინგტონში მდებარეობს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, იყოს „მთელი მსოფლიოს ბაპტისტთა საშუალება სამი მიზნის მისაღწევად. ეს მიზნებია: აა) ბაპტისტურ ეკლესიათა შორის ერთიანობისა და მეგობრობის განმტკიცება და ხელშეწყობა; ბბ) რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფა და დაცვა; გგ) საერთო [ბაპტისტური] რწმენის მთავარი პრინციპების განცხადება“.

ალიტურგიული [უარყოფის გამომხატველი თავსართი ა + ლიტურგიული] ასე ეწოდება დღეებს, როდესაც ევქარისტია არ აღსრულდება: დიდ პარასკევსა და დიდ შაბათს. ამბროსისეულ ლიტურგიაში, ასევე, ალიტურგიულია დიდი მარხვის ყოველი პარასკევი.

ალმუცია [გვიანლათ. almutia] ბეწვის/ტყავის მოსასხამი კაპიუშონით, რომელსაც ატარებდნენ კანონიკოსები. ეწოდებოდა, აგრეთვე, მოცეტა.

ამარტიოცენტრიზმი (Amartiocentrismo) [ბერძნულიდან amartía „ცოდვა“ + სიტყვა „ცენტრის“ წარმოებული ფორმა] თეოლოგიური კონცეფცია, რომელიც ცოდვას ცენტრალურ ადგილს ანიჭებს ისტორიაში და მას მიიჩნევს უმნიშვნელოვანეს და განმსაზღვრელ ელემენტად.

ამაღლება [ლათ. ascensio „აღმასვლა, ასვლა“] დღესასწაული, რომელიც აღინიშნება აღდგომიდან ორმოცი დღის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი იესოს ცად ამაღლების მოსაგონებლად (შდრ. საქ. 1:4-12) და რომელიც ასრულებს იესოს განდიდებას, დაწყებულს მისი აღდგომით.

ამბიონი [ბერძ. anabáinein „ასვლა“] განსხვავებით მქადაგებლის კათედრისაგან, ამბიონი ქვის ან ხის შემაღლებაა, საიდანაც ლიტურგიის დროს ცხადდება ღმრთის სიტყვა, ფსალმუნის რესპონსორიუმი, სააღდგომო სადიდებელი. ამბიონიდან შესაძლება ქადაგებისა და საყოველთაო ლოცვის წარმოთქმა.

ამბროსისეული მილანის (მედიოლანის) ეპისკოპოსის, წმ. ამბროსის, სახელთან დაკავშირებული. ამბროსისეული წესი ეწოდება ლიტურგიულ წესს, გავრცელებულს მილანის თითქმის მთელ ეპარქიასა და რამდენიმე მიმდებარე ზონაში. ის გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: ადვენტი გრძელდება ექვს და არა ოთხ კვირას, როგორც ეს რომაულ წესითაა მიღებული; დიდი მარხვა იწყება არა ნაცრის ოთხშაბათს, არამედ მის მომდევნო კვირადღეს; წირვისას შერიგების ხელისჩამორთმევა წინ უსწრებს შეწირულებას; მრწამსი შეწირულებას მოსდევს, პურის გატეხა კი ევქარისტიული ლოცვის დასასრულს, „მამო ჩვენო“-ს ლოცვამდე სრულდება.

ამენ [ებრ. ფუძიდან „aman“, „გაძლება“, „მტკიცედ დგომა“] ნიშნავს „ასეა“, „მართალია“, „უეჭველად“, „ნამდვილად“. სეპტუაგინტაში ესაიას სიტყვები „ჭეშმარიტი ღმერთი“ (ეს. 65:16) ითარგმნება როგორც theós amen იოანეს გამოცხადებაში ქრისტეს ეწოდება „ამენი“ (გამოცხ. 3:14), რადგანაც ის ჭეშმარიტებას ამოწმებს. აქვს, აგრეთვე, ზმნიზედური ფუნქციაც და გამოხატავს მსმენელის თანხმობას („დიახ, უეჭველია“) მოსაუბრის სიტყვების მიმართ, შერწყმულს ნათქვამის ახდენის სურვილთან (შდრ. 3 მეფ. 1:36; იერემ. 11:5; 28:6). ამგვარად „ამენი“ რელიგიური შეძახილის მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით — საკულტო მსახურებაში (შდრ. ნეემ. 5:13; 8:6). დამახასიათებელია იესოს მიერ „ამენ“-ის გამოყენება: ესაა დამადასტურებელი ფორმულა: „ამენ გეტყვი თქვენ/შენ“ („Amen dico vobis/tibi“) რომელიც 28-ჯერ გვხვდება მათეს, 14-ჯერ მარკოზის, 7-ჯერ ლუკასა და 26-ჯერ, ორმაგი ფორმით, იოანეს სახარებებში: „ამენ, ამენ გეტყვით თქვენ“ („Amen, amen, dico vobis „) ანუ „ჭეშმარიტებას გეუბნებით თქვენ“. „ამენ“ სპონტანურად გადმოვიდა ებრაული ლიტურგიიდან ქრისტიანულში, როგორც დამსწრეთა თანხმობის გამომხატველი შეძახილი.

ამერიკანიზმი ეს ცნება გულისხმობს ეკლესიის მოძღვრებასთან დაპირისპირებულ შეხედულებათა კომპლექსს, რომელიც იზიარებს ამერიკული ლიბერალური აზროვნების ცალკეულ ნიშნებს. ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქრისტიანის ბუნებრივ სიქველეებს, ავტორიტეტის პრინციპის შემსუბუქებასა და განსაზღვრულ დოგმათა ახლებური ინტერპრეტაციის აუცილებლობას. ამერიკანიზმს უკავშირდება, ასევე, სწრაფვა სინდისის თავისუფლებისა და კათოლიკეთა ქმედების მეტი თავისუფლებისკენ. ამავე დროს, მისი მომხრეები მხარს უჭერდნენ ეკლესიის მეტ გახსნილობას თანამედროვე კულტურის მოთხოვნილებათა მიმართ (American Way of Life) ამერიკანიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ყოფილი რედემპტორისტი ისააკ ჰეკერი († 1888). მან 1858 წელს დააფუძნა წმ. პავლეს სახელობის მისიონერული საზოგადოება, რომლის მიზანი იყო პროტესტანტ მორწმუნეთა კათოლიკე

ეკლესიის წიაღში მოქცევა.

ამიქტუსი [ლათ.amictus „ზედა ტანსაცმელი“] თეთრი სელის ქსოვილი, თითქმის ყოველთვის ოთხკუთხა ფორმისა, რომელსაც მღვდელმსახური მხრებსა და კისერზე მოიდებს, როგორც უპირველეს ლიტურგიულ სამოსელს, წირვის აღვლენის ან სხვა ლიტურგიული წესის აღსრულების დროს. ის წელზე ორი ზონრით მაგრდება.

ანაბაპტისტები [ბერძნ. anabaptistés, წარმოებული ზმნიდან anabaptízein „ხელახლა მონათვლა“; შემდეგ ლათინურში მიიღო ფორმა anabaptista] ანაბაპტისტები XVI ს.-დან აღნიშნავს, ასევე, კატაბაპტისტებად, ბაპტისტებად ან ხელახლა მნათვლელებად წოდებულ პროტესტანტებს. გადატანითი მნივნელობით ანაბაპტისტი აღნიშნავს, აგრეთვე, იმ პროტესტანტებს, რომლებიც უარყოფენ ბავშვების ნათლობას და მხოლოდ ზრდასრულ ადამიანებს ნათლავენ, თანაც ნათლობა სრულდება არა როგორც საიდუმლოება, არამედ, როგორც „მცნება“. ვიწრო ისტორიული თვალსაზრისით, ანაბაპტისტები, ლუთერის განსაზღვრების თანახმად, ის „ფანატიკოსები“ არიან, რომლებიც „ცვიკაუს წინასწარმეტყველებს“ უწოდებდნენ თავს და რომელთა მეთაურიც 1520 წელს გახდა თომას მიუნცერი ვალდშუდან. იგი, მილენარისტული და სოციალისტური იდეებით შთაგონებული, 1525 წლის „გლეხთა ომში“ ჩაება ეგრეთ წოდებული „თორმეტი მუხლის“ დასაცავად. დამარცხების შემდეგ მიუნცერი დაატყვევეს და თავი მოკვეთეს, თუმცა მეთაურის სიკვდილის შემდეგ სექტას არსებობა არ შეუწყვეტია, — ის უმთავრესად გერმანიაში, შვეიცარიასა და ნიდერლანდებში გავრცელდა.

ანამნეზა/გახსენება [ბერძ. anámnesis „გახსენება“] ევქარისტული ლოცვის ნაწილი, რომელიც მოსდევს დაფუძნების თხრობასა და კურთხევას და რომლითაც ეკლესია „იხსენებს“ ქრისტეს ვნებას, სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომას, შესაბამისად იესოს ბრძანებისა: „ეს გააკეთეთ ჩემს მოსაგონებლად“ (ლუკ. 22, 19).

ანათემა [კლასიკ. ბერძ. anáthema (ზმნიდან anatithénai „ზემოდან დადება“)] ღმრთისადმი მიძღვნილი „აღთქმული შესაწირავი“; შემდეგ, ბიბლიურ ბერძნულ ენაში აღნიშნავდა ღმერთისთვის პატივის მისაგებად განადგურებულ პირს ან საგანს; დასასრულ, ქრისტიანული გაგებით, ამ სიტყვამ „შეჩვენების“ მნიშვნელობა შეიძინა. საეკლესიო ენაში ანათემა ერეტიკული ან არასწორი დებულების დაგმობას ან განკვეთას აღნიშნავს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გამაჯანსაღებელ დამსჯელ სანქციას ან საეკლესიო სადისციპლინო ზომას, რომლის ძალითაც მორწმუნე გამორიცხულია ეკლესიასთან ერთიანობისაგან და მოკლებულია სულიერ სიკეთეს.

ანაფორა [ბერძ. anaphorá, მომდინარე ზმნიდან anaphérein „აღყვანა“] ევქარისტიის ცენტრალური საკულმინაციო მომენტი, პრეფაციუმიდან ქება-დიდებამდე, ევქარისტული ლოცვის სინონიმი. თავდაპირველად აღნიშნავდა ევქარისტული წესის აღსრულებისას შესაწირავ პურს.

ანაქორეტი [ბერძ. anachorein „განდგომა“; შემდგომ, საეკლესიო ლათინურში დამკვიდრდა ფორმა anachoreta] განდეგილი, რომელიც უდაბნოში ან სხვა განმარტოებულ ადგილას სახლდება, რათა, ასკეტიზმისა და მჭვრეტელობის მეშვეობით, ღმერთთან სიღრმისეული ერთიანობა მოიპოვოს. III ს.-ში ამგვარი განდეგილობის მიმდევართა სიმრავლის გამო ამ მოვლენამ მნიშვნელოვანწილად სამოწესეო ხასიათი შეიძინა. ანაქორეტთა მიერ არჩეული განმარტოების ყველაზე ცნობილი ადგილი იყო თებაიდის უდაბნო ეგვიპტეში.

ანგელოზი [ბერძ. ánghelos (რაც წარმოადგენს თარგმანს ებრ. სიტყვისა mal'eak) „მაცნე“; შემდგომ ლათინურში დამკვიდრდა ფორმა angelus] ადამიანსა და ღმერთს შორის შუალედური ბუნების მქონე სულიერი ქმნილება, ღმრთის მაცნე. ბიბლიაში ანგელოზის მრავალი მოვლინებაა აღწერილი, უმეტესწილად ადამიანური იერით. ასე გამოეცხადა ანგელოზი აგარს (შდრ. დაბ. 16:7), აბრამს (შდრ. დაბ. 18:1-2), ლოტს (შდრ. დაბ. 19:1), იაკობს (შდრ. დაბ. 28:12). ძველი აღთქმა გამოკვეთილად არ აღწერს ანგელოზთა შექმნას, თუმცა ეს თავისთავად იგულისხმება იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ერთადერთი ღმერთია ყველა არსების შემოქმედი (შდრ. გამ. 20:11; ფსალმ. 148:1-5). მიწიერ სამოთხეში გველის სახით მაცდურის არსებობა (შდრ. დაბ. 3:1-15) ანგელოზთა დაცემისა და დემონებად მათი გადაქცევის ფაქტზე მიუთითებს. ანგელოზები ზრუნავენ ადამიანებზე: იხსნიან ლოტს (შდრ. დაბ. 19), ტობიასა და სარას (შდრ. ტობ. 12:14-15), სამ ახალგაზრდას ღუმელში (შდრ. დან. 3:49). ზოგჯერ, ღმრთაებრივი ბრძანებით, სჯიან ადამიანებს (შდრ. დაბ. 19:11; 4მეფ. 24:16-17). ძველ აღთქმაში გვხვდება ასევე განსაკუთრებული ანგელოზი — ესაა იაჰვეს ანგელოზი, რომელიც ღმრთაებრივი მაცნის სახით წარმოდგება და ამასთან, საუბრობს და მოქმედებს, როგორც ღმერთი (შდრ. დაბ. 16:10-13; 31:11-13 და სხვ.). ეკლესიის არაერთმა მამამ და მოძღვარმა ეს არსება თეოფანიად (ადამიანთათვის ღმრთის გამოცხადებად) მიიჩნია. ახალ აღთქმაში ანგელოზები წარმოადგენილი არიან იმ უხილავ (შდრ. კოლ. 1:16) სულებად (შდრ. ებრ. 1:14), რომელთაც არა აქვთ ხორციელი ურთიერთობები (შდრ. მათ. 22:30). აქ გარკვევითაა საუბარი მათი დაცემის შესახებ (შდრ. იუდ. 6; 2პეტ. 2:4). იოანეს გამოცხადება განსაკუთრებით მდიდარია ანგელოზთა ხატებით, რაც ამ ნაწარმოების ლიტერატურული ჟანრითაცაა განპირობებული. ფსევდოდიონისე ანგელოზებს ცხრა „დასად“, ანუ კატეგორიად ყოფს, რომლებიც სამი საფეხურის მიხედვითაა დაჯგუფებული: სერაფიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი; უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი; მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი.

„ანგელოზი“ [ლათ. Angelus „ანგელოზი“] ტრადიციული ლოცვა ღმრთისმშობლისადმი, აგებული ხარებისა და ქრისტეს განკაცების საიდუმლოებაზე. ლოცვის სახელწოდება მისი პირველი სიტყვიდან მომდინარეობს. ლოცვა სამი ანტიფონისაგან შედგება, თითოეულ მათ-

განს მოსდევს: „გიხაროდენ“. სრულდება ერთი მუხლითა და ლოცვით. სააღდგომო პერიოდში „ანგელოსის“ ნაცვლად აღევლინება „დედოფალო ზეცისაო“. XIII საუკუნეში პაპმა გრიგოლ IX-მ დაამკვიდრა „ანგელოზის“ დილით, შუადღესა და საღამოს აღვლენის ტრადიცია.

ანგლიკანელობა (Anglicanesimo ინგლისის ეკლესიის (Church of England) ინსტიტუციათა და მოძღვრებათა ერთობლიობა. ანგლიკანელობა, ასევე, აღნიშნავს დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების „ანგლიკანურ ერთიანობასა“ და კენტერბერის მთავარეპისკოპოსის დაქვემდებარებაში მყოფ ეკლესიათა ერთობლიობას. ანგლიკანიზმის ფესვები 1215 წლის დოკუმენტში, „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ (Magna carta libertatum) შეიძლება მოიძებნოს. რომის ეკლესიასთან სქიზმა 1534 წელს მოხდა, როდესაც ინგლისის პარლამენტმა მოიწონა „უზენაესობის აქტი“, რომელიც მეფე ჰენრი VIII-ს (და ტახტის მომდევნო მემკვიდრეებს) ინგლისის ეკლესიის ერთადერთ და უზენაეს მეთაურად აღიარებდა (supreme head in earth of England) რომთან განხეთქილება განაახლა დედოფალმა ელისაბედ I-მა (1558-1603) დოკუმენტით „თანაბრობის აქტი“ (1559) და ეგრეთ წოდებული 39 მუხლით (1563). ანგლიკანელობა სწრაფად გამოიკვეთა განსხვავებული პოზიციები (რაც ეკონომიკურ-სიციალური ვითარებითაც იყო განპირობებული), რომელთა საფუძველზეც ჩამოყალიბდა: ა) **მაღალი ეკლესია** (High Church) რომელმაც მეტი ერთიანობა შეინარჩუნა კათოლიკურ ეკლესიასთან როგორც ლიტურგიული, ისე საეკლესიო ორგანიზაციის თვალსაზრისით; ბ) **დაბალი ეკლესია** (Low Church) რომელიც ხაზს უსვამს პროტესტანტიზმის ინოვაციურ იდეებს და მხარს უჭერს პრესვიტერულ პროტესტანტიზმთან სოლიდარობას; გ) **ფართო ეკლესია** (Broad Church) რომელსაც დღეს „ლიბერალურს“ უწოდებენ. ეს უკანასკნელი ღიაა თავისუფალი ინტერპრეტაციის პოზიციათა მიმართ, რომლებიც უპირისპირდება მკაცრ მართლმორწმუნეობას. დღეს ანგლიკანელობა მოიცავს ხალხებს, რომლებიც დედოფალს საკუთარი ეკლესიის მეთაურად აღიარებენ; მას დაახლოებით 65 მილიონი მორწმუნე იზიარებს. საეპისკოპოსოები (საერთო ჯამში 365 დიოცეზი) კენტერბერის მოქმედ მთავარეპისკოპოსს ექვემდებარება. ინგლისის ეკლესიის კანონმდებელი ორგანოა ეპისკოპოსთა, მღვდელთა და საეროთა სამი პალატისგან შემდგარი ეროვნული ასამბლეა. ინგლისის ეკლესიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მოითხოვს პარლამენტის დადასტურებასა და მონარქისეულ რატიფიკაციას.

ანთროპომორფიზმი [ბერძ. ántropos „ადამიანი“ + წარმოებული ფორმა სიტყვისა morphé „ფორმა“] ადამიანის მიდრეკილება, საკუთარი თავი და საკუთარი შინაგანი სამყარო გარემომცველი სამყაროსა და ღმრთაებრიობის აღქმაზე გადაიტანოს.

ანიმიზმი [მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან anima „მაცოცხლებელი ქროლა“] ფილოსოფიაში ამ სიტყვით აღინიშნება ყველა ის კონცეფცია, რომელთა თანახმადაც თითოეულ არსებას აქვს სამშვინველი, როგორც აქტივობის შინაგანი საწყისი; ეთნოლოგიაში კი — ზოგიერთი პირველყოფილი ხალხის მისწრაფება, მიაკუთვნონ სამშვინველი არა მხოლოდ ადამიანს, არამედ, ასევე, საგნებსაც. ანიმისტურს უწოდებენ განსაკუთრებით იმ ტომებს, რომლებშიც მიცვალებულთა და სამშვინველთა საგანგებო კულტია გავრცელებული.

ანომოელები [ბერძ. anómoios „განსხვავებული“] ასე ეწოდებოდა არიელი ერეტიკოსის ეციუსის (IV ს.) მიმდევრებს. ეციუსის მტკიცებით, მხოლოდ მამა იყო ღმერთი, როგორც შეუქმნელი, ძე კი მისგან სრულიად განსხვავებული (anómoios) ბუნებისა იყო. ცნობილი არიან ასევე ეციუსელთა სახელითაც.

ანტიკლერიკალიზმი [ანტი + clerikus-ის წარმოებული ფორმა] იდეათა, დამოკიდებულებათა, ტენდენციათა ერთობლიობა, რომელსაც ახასიათებს მტრული დამოკიდებულება სამღვდელოების ან საერო და პოლიტიკურ სფეროებში საეკლესიო ძალაუფლების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის მიმართ. XIX საუკუნის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დებატებში პოლემიკურად გამოყენებული ეს ცნება აღნიშნავდა სამღვდელოებისა და საეკლესიო იერარქიის არარელიგიურ სფეროებში ჩარევის აღკვეთისკენ მიმართულ ნებისმიერ ინიციატივას. ის, ასევე, აღნიშნავდა თანამედროვე სახელმწიფოს მიერ საეკლესიო ძალაუფლების დაქვემდებარების მცდელობებს, ან, დასასრულ, კრიტიკულ დამოკიდებულებას სამღვდელოების, როგორც პრივილეგირებული „კლასის“, ან მის მიერ საკუთარი მისიის შესასრულებლად გამოყენებული მეთოდების მიმართ. ცნების გამოყენება არაზუსტი იქნება, თუკი მას მოვწყვეტთ XVII-XVIII საუკუნეების, უფრო მეტად კი — XIX საუკუნის ისტორიულ გარემოს, რომელშიც ის აღმოცენდა. ვოლტერისეული ხასიათის ინტელექტუალურმა ანტიკლერიკალიზმმა პოლიტიკურ-სოციალური განზომილებას მიაღწია, განსაკუთრებით, საფრანგეთის რევოლუციის დროს: სამღვდელოებასთან, უმთავრესად — მაღალ სამღვდელოებასთან ბრძოლა „ძველ რეჟიმთან“ (Ancien Régime) ბრძოლის არსებით ნაწილად იქცა. ცნების პოლემიკური წარმოშობა განსაკუთრებულად ნათელია იტალიაში, სადაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულებათა პრობლემა რომის საკითხმა გაართულა. პაპის მითითებათა ერთგულად აღმსრულებელ ყველა კათოლიკის აღსანიშნავად სიტყვა „კლერიკალურს“ იყენებდნენ. ამიტომაც შესაძლებელი იყო ანტიკლერიკალიზმში დადანაშაულება მთელი ლიბერალური პოლიტიკური კლასისა, რომელიც ზომიერ კათოლიკეებსაც მოიცავდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რადიკალური თუ სოციალისტური მიმართულების პარტიათა და ორგანიზაციათა აღმოცენებასთან ერთად, გამოიკვეთა ანტიკლერიკალიზმის ყველაზე ექსტრემისტული და ანტირელიგიური ასპექტები, რითაც მან გლეხობისა და პროლეტართა დიდი მასები მიიზიდა. XX საუკუნეში მომხდარ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცვლილებათა შედეგად ანტიკლერიკალიზმი, — ყოველ შემთხვევაში, მეცხრამეტე საუკუნეში დამკვიდრებული მისი ფორმა, — თანდათან შესუსტდა.

ანტიკონკორდატისტი/ანტიკონკორდატიზმი სახელმწიფოსა და წმიდა საყდარს შორის ურთიერთობათა კონკორდატის მეშვეობით წარმართვის წინააღმდეგ განწყობილი პირი ან ამგვარი დამოკიდებულება. ისტორიულად ასე უწოდეს სქიზმატიკოს ფრანგ ეპისკოპოსებს, რომლებმაც 1801 წელს ლონდონს შეაფარეს თავი და უარი თქვეს, გადამდგარიყვნენ, რასაც მათგან პაპი პიუს VII მოითხოვდა ნაპოლეონთან კონკორდატის შედეგად.

ანტიკონფესიური [ანტი + confessione-ს წარმოებული ფორმა; „აღმსარებლობა“, „აღიარება“, „აღსარება“]. ნებისმიერი სახის რელიგიური აღმსარებლობის საწინააღმდეგო.

ანტიპაპი პირი, რომელიც არაკანონიკური გზით მოიპოვებს პაპობას და ამ თანამდებობის ღირსებისა და ძალაუფლების მატარებლად აცხადებს თავს. მაშასადამე, საუბარია (ზოგჯერ კეთილი ზრახვით მოქმედ) უზურპატორზე, რომელიც მის ხელთ არარსებულ ძალაუფლებას აღასრულებს, რადგანაც არ გააჩნია ლეგიტიმური დანიშნულება, მართოს ეკლესია. ეკლესიის ისტორიაში ანტიპაპთა რიცხვი 25-დან 40-მდე მერყეობს. პირველი ანტიპაპი იყო წმიდა იპოლიტე, რომაელი მღვდელი (217-235), რომელიც კალისთეს წინააღმდეგ იქნა არჩეული სამოძღვრო მიზეზების გამო, შემდგომში პაპ პონციანეს შეურიგდა და მასთან ერთად მოკვდა მოწამებრივი სიკვდილით. უკანასკნელი ანტიპაპი იყო ფელიციუს V, ამადეუს VIII სავოიელი. ის ბაზელის საეკლესიო კრებამ აირჩია ევგენი IV-ის წინააღმდეგ და 1440 წლის 24 ივლისს ეკურთხა პაპად, შემდეგ კი იმავე კრების მიერ იქნა გადაყენებული. იგი დაექვემდებარა პაპ ნიკოლოზ V-ს, რომელმაც მას კარდინალის წოდება უბოძა, გარდაიცვალა 1451 წელს.

ანტიპენდიუმი [ლათ. ante „წინ“ + pendere „ჩამოშვება, დაკიდება“] საკურთხევლის წინა მხარის დეკორატიული მორთულობა.

ანტისემიტიზმი [ანტი + „სემიტის“ წარმოებული ფორმა] აღნიშნავს ებრაელთა მიმართ მტრულ დამოკიდებულებას. ისტორიულად ეს მტრობა ასურეთში, ბაბილონეთში, შუა და ზემო ეგვიპტეში დასახლებული ებრაული დიასპორის თემთა წინააღმდეგ აღმოცენდა (V ს.-დან ქრისტემდე), ოდენ ებრაელთათვის დამახასიათებელ მონოთეიზმზე რეაქციის სახით (როგორც ათეიზმისა და კაცთა მოდგმის მიმართ უპატივცემლობის ბრალდება). მიუხედავად იმისა, რომ იუდეველობა religio licita-ად იყო აღიარებული, ამ ბრალდებას კვლავ მიუბრუნდნენ რომის იმპერიაში, რასაც სახელმწიფოს მხრიდან ზომების მიღება მოჰყვა: იმპერატორმა კლავდიუსმა ებრაელები რომიდან განდევნა (საქმ. 18:2); მათ წინადაცვეთა და იერუსალიმში ჩასვლა, რომელებს კი იუდაიზმის მიღება აეკრძალათ. ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული ქმედებები შემდეგ ქრისტიანებსაც შეეხო და ესეც გახდა იმის მიზეზი, რომ 140 წლიდან ქრისტიანი აპოლოგეტები თავიანთ ნაწერებში იუდაიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ასე დაედო საფუძველი ქრისტიანულ ანტისემიტიზმს და ეკლესიის შემდგომი განვითარებიდან იუდეოქრისტიანობის გაქრობას. ქრისტიანმა იმპერატორებმა (კონსტანტინემ 315 წელს; თეოდოსი II-მ 417 და 423 წლებში; იუსტინიანემ 534 წელს) ებრაელებს ყოველგვარი უფლება ჩამოართვეს. ებრაელთა შევიწროება და მათზე ძალადობა (პოგრომები) შუა საუკუნეებში ევროპის ყველა კუთხეში გრძელდებოდა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ებრაელები სხვადასხვა კრიზისულ ვითარებაში „განტევების ვაცად“ მიიჩნეოდნენ. მხოლოდ განმანათლებლობამ გაუხსნა გზა ჰუმანისტური არსის მქონე ფილოსემიტიზმს. ამან ხელი შეუწყო ებრაელთა ემანსიპაციას უმთავრესად ეკონომიკურ სფეროში. XIX საუკუნეში სარწმუნოებრივ ანტისემიტიზმს დაერთო რაციონალური ტიპის ანტისემიტიზმი, რომელიც XX საუკუნეში, სხვადასხვა გერმანულ მოძრაობათა ირაციონალურ ფანატიზმთან ერთად, ებრაელთა საწინააღმდეგო განწყობის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. ამგვარმა განწყობამ შეამზადა ადამიანები ებრაელთა განადგურების (ჰოლოკოსტი) ჰიტლერულ იდეათა მისაღებად. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მიუხედავად ანტისემიტიზმის სხვადასხვა ფორმის არსებობისა, ეს მოვლენა საყოველთაოდ იქნა დაგმობილი. რაც შეეხება რელიგიურ სფეროს, ვატიკანის II საეკლესიო კრებამ დაგმო ანტისემიტიზმი დეკრეტით Nostra aetate, რომელშიც ხაზგასმულია ქრისტიანთა და ებრაელთა საერთო სულიერი მემკვიდრეობა. პაპმა იოანე პავლე II ხელახლა აღნიშნა ეს თავისი ოფიციალური ვიზიტის დროს რომის სინაგოგაში 1986 წლის 13 აპრილს.

ანტიფონი [ბერძ. antiphoné „ხმა ხმის პირისპირ“] IV საუკუნიდან აღნიშნავს საგალობლის შესრულებას ორი გუნდის მიერ იმგვარად, რომ ერთმა მათგანმა მეორეს უპასუხოს. ეს შესრულება განსხვავდება შესრულების უფრო ადრინდელი ხერხის, რესპონსორიუმისაგან, რომლის დროსაც სოლისტს უპასუხებს მთელი ხალხი ფსალმუნის წინ გამოცხადებული ანტიფონით. იოანე ოქროპირი ადასტურებს: „რაკი ხალხმა მთლიანად არ იცის მთელი ფსალმუნნი, მან შესაბამისი ერთი მუხლი უნდა იგალობოს, რომელიც გარკვეულ უმაღლეს ჭეშმარიტებას შეიცავს“. შემდგომში ანტიფონი წირვის შემადგენელი ნაწილი გახდა ცალკეულ წესთათვის (დაწყება, შესაწირავი, ზიარება) შესავლის სახით. ჟამთა ლიტურგიაში ანტიფონს ფსალმუნის ლიტერატურული ჟანრის განსაზღვრის ფუნქცია აკისრია. ის ფსალმუნს პიროვნულ ლოცვად აქცევს, უკეთ გამოკვეთს საყურადღებო ფრაზას; განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს რომელიმე ფსალმუნს, ვითარებიდან გამომდინარე; ეხმარება ფსალმუნის ტიპოლოგიურ და სადღესასწაულო ინტერპრეტაციას, სასიამოვნოსა და მრავალფეროვანს ხდის ფსალმუნთა შესრულებას.

ანტიფონიუმი [წარმოებულია სიტყვიდან „ანტიფონი“] ლიტურგიული წიგნი, რომელშიც ჟამნისა და წირვის ანტიფონებია თავმოყრილი.

ვილითა და სიყვარულით. და როცა საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებაა, წარმატება და კეთილი ნაყოფი უზრუნველყოფილია. ვფიქრობ, საქართველოს სხვა საკრებულოებმაც, და არა მხოლოდ კათოლიკურმა, სხვა ქრისტიანულმა ეკლესიებმაც უნდა გამოიყენონ თავიანთი მრევლის სულიერ ფორმაციაში ამგვარი გამოცდილებები. მით უმეტეს, რომ წეროვანის სულიერების ცენტრი ყველა მსურველს, კონფესიურობის მიუხედავად, ფართოდ უღებს კარებს შეხვედრებისა და კონვენციების ორგანიზებისათვის.

15 აგვისტოს წმ. მარიამის ზეცად აღყვანების დღესასწაული თბილისის კათედრალის მრევლისათვის ორმაგად სასიხარულო ზეიმია. ამ დღეს თითქმის მთელი თბილისის ლათინური წესის კათოლიკეები თავს იყრიან კათედრალურ ტაძარში და, ეპისკოპოსთან და სამღვდელო დასთან ერთად, აღნიშნავენ დღესასწაულს. წლეულს უკვე მეთერთმეტედ იზეიმეს თბილისელმა კათოლიკეებმა განახლებულ კათედრალში ღვთისმშობლის დღესასწაული, ტაძარი მორწმუნეებს ვერ იტევდა, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა საკრებულოს წევრებიც წმ. მარიამის ზეიმს მისი სახელობის ტაძარში აღნიშნავდნენ. იყვნენ სტუმრები იტალიიდანაც. წმ. წირვის შემდეგ, კათედრალის სამრევლო საბჭომ წირვის ყველა მონაწილე, ტრადიციისამებრ, ტრაპეზზე მიიპატიჟა, სადაც სტუმრებიცა და მასპინძლებიც (მათ შორის, ბევრი მსახურებაში მონაწილეობის მისაღებად აგარაკებიდან იყო ჩამოსული) შთაბეჭდილებებს და სიხარულს უნაწილებდნენ ერთმანეთს. მართლაც, რა კარგად არის ნათქვამი: „ რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები“!



ნუგზარ ბარდაველიძე

აჰა, რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!

(ფს. 132)

დავითის ფსალმუნის ეს სიტყვები გამოვიყენეთ რვა აგვისტოს წეროვანში ჩატარებული კონვენციის დევიზად. მიუხედავად გაუსაძლისი სიცხისა, მართლაც ძალიან კარგი, შინაარსიანი და სულიერად ამაღლებული დღე გავატარეთ მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძრის საკრებულომ. აღსანიშნავია, რომ, შარშანდელთან შედარებით, წელს უფრო მეტი მორწმუნე წამოვიდა წეროვანში, და ეს კარგის მანიშნებელია. ტაძარში სიარული, წმ. წირვებში მონაწილეობა და საიდუმლოებების აღსრულება საკმარისი არ არის მრევლის წევრების დასაახლოებლად. გასული წლიდან ეკლესიის წინამძღვრის, მამა ანდრეი გრაჩეკისა და ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს ინიციატივას — საკრებულოს წევრებს ერთი დღე ერთად გაეტარებინათ ბუნების წიაღში — იმთავითვე მრავალმა მორწმუნემ აუბა მხარი, და ეს ტრადიციად იქცა. ასეთი გასვლები ქალაქგარეთ გვეხმარება ერთმანეთის უკეთ გაცნობაში.

მორწმუნეთა სულიერი ზრდისათვის ძალიან კარგი და სასარგებლო იყო ჯგუფური მოწმეობა და რწმენაზე დამყარებული საკუთარი გამოცდილება. გულახდილობის ასეთი მომენტები უფრო გვარწმუნებს, რომ თუ ორი ან სამი შევიკრიბებით ქრისტეს სახელით და უფალს მოვიხსენიებთ, ის ჩვენს შორის იქნება.

სახალისო იყო თამაშები, მაგრამ არა ჯგუფური, არამედ ისეთი, რომელშიც მთელი საკრებულო მონაწილეობდა.

მეტად ძვირფასია ერთად ლოცვის დრო, მით უმეტეს ბუნების წიაღში. საერთო სადილისთვის ყველა მომზადებული წამოვიდა საკუთარი საგზლით. აგაპეზე ურთიერთგამასპინძლების სურვილი უფრო იგრძნობოდა. განსაკუთღებით სასიამოვნო იყო მწვადი და მამა ჯუზეპეს ღვინის დაჭაშნიკება.

მადლობა ეკლესიას, მამა ჯუზეპეს, მამა ანდრეის და ყველა ორგანიზატორს ასეთი მშვენიერი და ნათელი დღისათვის.

იმედია, რომ მომავალშიც ბევრჯერ შევიკრიბებით ძმები ერთად.

თინა კოკოჩაშვილი

ბავშვთა საზაფხულო ბანაკი ორპირში

ორპირი იმერეთის პატარა და ლამაზი სოფელია. იგი გადმოჰყურებს ქუთაისის უმშვენიერეს ხედს. ახლაც, როგორც ყოველ წელს, მესხეთის მკვიდრი ბავშვები საზაფხულო ბანაკში წასასვლელად ემზადებოდნენ. ბანაკს ორპირი მასპინძლობდა. ვალეს, ახალციხისა და ბორჯომის საკრებულოს ბავშვები, ლიდერებთან ერთად, დილადრიანად დავადექით ორპირისკენ მიმავალ გზას.

ორპირი მოსიყვარულე მასპინძელივით შემოგვეგება.

მთელი კვირა დატვირთული იყო ინტელექტუალური, სპორტულ-გასართობი ვიქტორინებით. ბავშვები სამ ჯგუფად დავყავით და ისინი ერთმანეთს დიდი ხალისით ეჯიბრებოდნენ.

ძალიან საინტერესო იყო რაჭასთან სტუმრობა. ნიკორწმინდის ტაძარი მთელი თავისი დიდებულებითა და სილამაზით შემოგვეგება; შემდეგ შაორის ტბაში ვიბანავეთ და მეთევზეებთან ერთად ვითევზავეთ. ამის შემყურეს, მოციქულთა თევზჭერა დამიდგა თვალწინ.

კვირა დღეს მამა ზურაბ კაკაჩაშვილმა (რომელიც მთელი კვირის განმავლობაში ჩვენს გვერდით იყო) გადაწყვიტა, უფლის დღე ქუთაისის მრევლთან ერთად გვეზეიმა. წმ. წირვის შემდეგ, ქუთაისის ყოფილი კათოლიკური (დღეს — ხარების) ეკლესია მოვინახულეთ. ამავე დღეს მშვენიერ გელათსა და მოწამეთასაც ვესტუმრეთ.

ერთმა კვირამ წამიერად გაირბინა და შინ ბედნიერი და კმაყოფილნი დავბრუნდით.

თამრიკო ჩიტაშვილი
ვალე

მინისტრანტების შეხვედრა ორპირში

2010 წლის აგვისტოში, ორპირში ჩატარდა მინისტრანტების შეხვედრა, რომელსაც მ. მიშა სურმავა ხელმძღვანელობდა. ამ ლამაზ და მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მინისტრანტები საქართველოს ყველა საკრებულოდან. ყოველ დილით აღევლინებოდა წმ. წირვა, რის შემდეგაც იმართებოდა სხვადასხვა თამაშები, მივდიოდით მდინარეზე საბანაოდ... ასევე, ტარდებოდა კონფერენციები, რომელთა ძირითადი თემები იყო: მინისტრანტის როლი ეკლესიასა და საზოგადოებაში, ლიტურგიული წლის დროები, მღვდლის შესამოსელის (ორნატას) ფერთა მნიშვნელობა და მისი შესაბამისობა ლიტურგიულ დროებთან.

იყო მინისტრანტი, ნიშნავს, უჩვენო სხვას მაგალითი სიყვარულისა და მსახურებისა. მადლობა ღმერთს, ასეთი ლამაზი დღეები რომ გვაჩუქა; მადლობა მ. მიშას, რომელიც დაუღალავად შრომობდა და ცდილობდა, გასაგები გაეხადა ჩვენთის ამ შეკრების მიზანი.

დაე, ღმერთის მადლი იყოს ყველა მინისტრანტის თანმდევი ყველგან და ყოველთვის, რათა მუდამ ახსოვდეთ, რომ ისინი ეკლესიის სახე და მისი სწავლების დამმოწმებელნი არიან საზოგადოებაში.

ლაშა, აბასთუმანი
თამაზი, არალი

უდეს ბავშვები ორპირში

არალისა და უდეს ბავშვები ორპირში

მაფხულის რვა დაუვიწყარი დღე და ანიმატორობის პირველი გამოცდილება

ყოველი დღე ღვთის სიყვარულითა და მადლითაა გაჯერებული, მისი მოწყალება უსაზღვროა, მთავარია, ვუსმინოთ მის ხმას, მივყვეთ მას და მადლობა შევწიროთ ჩვენი ცხოვრების თითოეული უმნიშვნელო თუ მნიშვნელოვანი მომენტისათვის.

წელს, ჩვენ, ვალეს, ახალციხის, ხიზაბავრისა და თბილისის დამწყებ ანიმატორებს, საშუალება გვქონდა, კიდევ ერთხელ გვეგრძნო ღვთიური მადლის ძალა ჩვენს ცხოვრებაში და მიგვეღო არაჩვეულებრივი ანიმატორული გამოცდილება.

16 ივლისს ყველანი ერთად გავემგზავრეთ ხიზაბავრაში, სადაც ძალიან თბილი და სიყვარულით სავსე შეხვედრა მოგვიწყვეს ჩვენმა მასპინძლებმა და უცხოელმა მოხალისეებმა, რომლებიც დონ ბოსკოს დების, ტერეზას, კარინასა და რენატას ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ ბელგიიდან და ავსტრიიდან, საკუთარი ანიმატორული გამოცდილების გასაზიარებლად. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ, ძალიან საინტერესო და მხიარული საქმიანობის შესწავლას შევუდექით. გოგონები ისეთი მონდომებითა და ხალისით გვიხსნიდნენ ყველაფერს, რომ, მიუხედავად დროის სიმცირისა, ყველაფერი ძალიან მალე ავითვისეთ და მზად ვიყავით, ჩვენი ცოდნა პრაქტიკულად განგვეხორციელებინა.

უცხოელი მოხალისეები ისეთი მეგობრულები და უშუალოები აღმოჩნდნენ ურთიერთობაში, რომ ძალიან მალე დავმეგობრდით და სამი დაუვიწყარი დღე ვაჩუქეთ ეთმანეთს. ამ სამმა დღემ იმდენად დაგვაახლოვა ერთმანეთთან, რომ ძალიან გაგვიჭირდა განშორება.

პროექტის შემდეგი გეგმა ჩვენი, ანუ დამწყები ანიმატორების, ცოდნის გამოცდა იყო. მონაზვნებმა ოთხ გუნდად დაგვყვეს და საქართველოს ოთხ კუთხეში: ხიზაბავრაში, ქუთაისში, ახალშენსა და ხიზაბავრაში (კახეთი) მიგვავლინეს. ჩვენი მოვალეობა იყო, ბავშვებთან ერთად მოგვეწყო ოთხდღიანი ორატორიუმი, გვეთამაშა მათთან ერთად და მრავალი საინტერესო ღონისძიება დაგვეგეგმა.

მე, პირადად, კახეთის ხიზაბავრაში გავემგზავრე, სამ სხვა ქართველ გოგონასთან, ოთხ უცხოელ მოხალისესთან და და კარინასთან ერთად. დარწმუნებული ვარ, და ჩემი თანაგუნდელებიც დამეთანხმებიან, რომ ეს ოთხი დღე მართლაც დაუვიწყარი და განუმეორებელი შთაბეჭდილებებით სავსე გამოდგა: კახელი ხალხის სითბო და სიყვარული, ულამაზესი ბუნება, უსაყვარლესი ბავშვები, რომლებთანაც მუშაობა ყველას მართლა ძალიან გვიხაროდა, და, რა თქმა უნდა, ჩვენი უცხოელი მოხალისეები, რომლებიც სამუდამოდ დარჩებიან ჩვენს მეხსიერებაში.

ორატორიუმის გახსნის დღეს, ძალიან ვღელავდით, რადგან არ ვიცოდით, მოვიდოდნენ თუ არა ბავშვები, დაინტერესდებოდა თუ არა ვინმე ჩვენი პროექტით, თუმცა ჩვენ მხოლოდ ერთი ბავშვის მოსვლის შემთხვევაშიც ვაპირებდით მუშაობას. ვერ წარმოიდგენთ, რა დიდი იყო სიხარული, როდესაც ეკლესიის ეზოში შეკრებილი ოცდათხუთმეტი-ორმოცი ბავშვი დავინახეთ (სურათი იხილეთ ჟურნალის გარეკანის წინა ყდაზე).

ოთხი დაუვიწყარი დღე გავატრე კახეთში. ახლად შეძენილ მეგობრებთან გამომშვიდობება მართლაც ძალიან ძნელი და ემოციებით აღსავსე იყო. კახეთიდან წამოსვლის შემდეგ, სანამ თბილისში დავბრუნდებოდით, ჩვენს სტუმრებთან ერთად, სიღნაღს ვეწვიეთ. სიყვარულის ქალაქის შეუდარებელი სილამაზითა და მშვენიერებით მოხიბლული უცხოელები აღტაცებას ვერ მალავდნენ. სიღნაღის შემდეგ, ბოდბეს ვესტუმრეთ, რომელიც არანაკლები სილამაზით გამოირჩევა; ჩვენი სტუმრები აღტაცებაში მოიყვანა საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ხილვამ და მათ მართლაც ძლიერ შეაყვარა საქართველო და ქართველები.

მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ამ პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი, ძალიან დიდი მადლობა ხიზაბავრის, ქუთაისის, ახალშენისა და კახეთის სამრევლოებს გულუხვი მასპინძლობისათვის.

უღრმესი მადლობა მონაზვნებს: ტერეზას, კარინასა და რენატას. დიდი მადლობა ჩვენს უცხოელ მეგობრებს, დიდი სიყვარულით მინდა, მოვიკითხო და ვუთხრა, რომ ისინი მუდამ დარჩებიან ჩვენს გულებში.

და ბოლოს, მინდა, დიდი წარმატება გისურვოთ ყველას, ვინც წელს ეს კურსი ჩვენთან ერთად გაიარა, და გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ქეთი ჩიტაშვილი
ვალე

იტალიელი მოხალისეები არალის საკრებულოს ბავშვებთან

„იყავით, როგორც ბავშვები“
მათე,18,3.

„იყავით, როგორც ბავშვები“, — სახარების ეს შეგონება იყო სოფელ არალში ჩამოსული ხუთი ახალგაზრდა იტალიელი მოხალისის მისიის მიზანი. იტალიელთა მცირერიცხოვან, მაგრამ აქტიურ ჯგუფს საკმაოდ დიდი ენთუზიაზმი აღმოაჩნდა. მათი წევრების აქტიურობა და დაუღალავი შრომა პირველივე დღეს გამოიკვეთა. ისინი სიხარულით შეხვდნენ არალელ ბავშვებსა და ანიმატორებს. ჩვენი მეგობარი იტალიელები აღფრთოვანებულნი იყვნენ ამ სოფლის მკვიდრთა სტუმართმოყვარეობითა და ტრადიციებით. მოგეხსენებათ, ქართველები მთელ მსოფლიოში არიან ცნობილნი თავიანთი სითბოთი და სიყვარულით. განთქმულია ასევე ქართული სუფრა, ქართული ღვინო. არც ჩვენი იტალიელი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ გამონაკლისნი და ყოველივე ამით ისინიც მოიხიბლნენ.

არალში ყველა, ბავშვი თუ მოზრდილი, ქართველი თუ იტალიელი, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობით იყო გამსჭვალული. ეს კი იტალიელების მუშაობასა და არალის მკვიდრთა სტუმართმოყვარეობას მეტ ხალისს მატებდა. იტალიელები დაუღალავად შრომობდნენ, ასწავლიდნენ ბავშვებს თამაშებს, როგორც შემეცნებითს, ასევე სპორტულს, დგამდნენ სპექტაკლებს. მათი გული ყველასთვის ღია იყო. არალელმა ბავშვებმა ბევრი რამ ისწავლეს იტალიელთაგან, თავის მხრივ, მათ იტალიელებსაც გაუზიარეს თავიანთი ცოდნა.

ბოლოს დადგა გამომშვიდობების დროც და იტალიელი ახალგაზრდები ხიზაბავრისკენ გაეშურნენ. ჩვენ კი დაგვრჩა იმის იმედი, რომ ისინი კვლავაც დაბრუნდებიან ჩვენთან.

ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, მთავარია სიყვარული და მადლიერება, ეს კი გვეხმარება ცხოვრებაში ჩვენი ადგილის დამკვიდრებაში.

უდიდესი მადლობა ღმერთს, რომელმაც ერთად ყოფნის საშუალება მოგვცა; მადლობა მ. მიშას, რომელიც დიდი მონდომებით ზრუნავდა არალში იტალიელთა ჩამოსვლისა და მათი ჯეროვანი დახვედრისათვის. მადლობა იტალიელ მოხალისეთა ჯგუფის წევრებს: ელიზაბეტას, ლაურას, ლორენცოს, ჯუზეპეს, ფაბიოსა და ირენეს. დიდი მადლობა არალელ ანიმატორებს: ანუკის, თაკოს, შოთასა და ფატის. მადლობა ოვსეპს, რომელიც შესანიშნავი თარჯიმანი იყო. მადლობა მათ, ვინც ზრუნავდა სტუმართა კვებასა და დაბინავებაზე; განსაკუთრებული მადლობა კი იმ ბავშვებს, რომლებმაც ერთგულებითა და სიყვარულით შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა.

P.S. მთელი არალის საკრებულოს სახელით, ელიზაბეტას ვულოცავთ გაბედნიერებას. მასა და მის მეუღლეს ვუსურვებთ დიდ სიხარულს, ბედნიერებას, ღვთის წყალობასა და დიდხანს სიცოცხლეს. იმედია, მომავალ წელს ის თავის მეუღლესთან ერთად ჩამოვა საქართველოში.

არალის ახალგაზრდები



დაუვიწყარი დღეები ხიზაბავრაში

2010 წლის 2 აგვისტოს, გორის წმ. ოჯახისა და ახალხიზის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის რომაულ-კათოლიკურ სამრევლოთა ახალგაზრდებსა და მათ მართლმადიდებელ მეგობრებს, მამა აკაკისთან ერთად, ერთი კვირით უმასპინძლა „კამპოსკოლამ“, ასპინძის ხიზაბავრაში.

ახალგაზრდების უმრავლესობა პირველად იყო სამცხე-ჯავახეთში. ჩვენ ვცდილობდით, მაქსიმალურად აგვეთვისებინა ყოველივე კარგი და საინტერესო ამ მეტად მდიდარი ისტორიის მქონე მიწაზე, რაშიც ძალიან დაგვეხმარა კიდეც მამა აკაკის მიერ მოწყობილი ექსკურსია ვარძიაში და ლაშქრობები; ხიზაში მხოლოდ ნასახლარებიღა ვიხილეთ. შემდეგ ვარგავში გავემგზავრეთ; მიუხედავად გრძელი, დაუმთვრებელი და დამღლელი გზისა, მაინც ხალისიანად მივაღწიეთ ადგილამდე და ფერისცვალების დღესასწაული მივულოცეთ მრევლს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალხიზელების (გორის რაიონი) სტუმრობა ხიზაბავრაში, ვინაიდან მათი ფესვები სწორედ აქედანაა, ბევრმა მათგანმა გაიცნო ნათესავები და გაიგო საკუთარი გვარის ისტორია, წარმომავლობა. მოსახლეობაც მოდიოდა და თავის მოგვარეებს ეძებდა ჩვენს შორის.

ერთიმეორეზე კიდევ უფრო ლამაზი დღეები მისდევდნენ ერთმანეთს და ჩვენი წამოსვლის დღეც — 7 აგვისტო ჩუმად მოგვეპარა. ემოციებით დატვირთულებმა და სიყვარულით აღვსილებმა, დავტოვეთ ხიზაბავრის „კამპოსკოლა“ იმ იმედით, რომ იგი კვლავ მალე გვიმასპინძლებს.

დიდი მადლობა ყველა იმ პიროვნებას, ვინც ეს ლამაზი დღეები გვაჩუქა და დაგვეხმარა, აღმოგვეჩინა სულ სხვა საქართველო სამცხე-ჯავახეთის სახით.

მაია ხმიადაშვილი

თორმეტი შეკითხვა იესოს შესახებ

3. იესო იყო წინასწარმეტყველი თუ მესია?

იესო იყო წინასწარმეტყველიც და მესიაც. ბევრ არაქრისტიანულ რელიგიას იესო მიაჩნია წმიდა და პატივსაცემ წინასწარმეტყველად. ქრისტიანებსაც, თუმცა სჯერათ, რომ იგი წინასწარმეტყველი იყო, ამავე დროს, სწამთ, რომ იესო ბევრად მეტი იყო, ვიდრე წინასწარმეტყველი. წინასწარმეტყველი არაა ბედის ამომცნობი, ვინც ბროლის ბურთულას, ან ყავის ჭიქას, ან ტაროს კარტებს ჩაჰკირკიტებს. წინასწარმეტყველი იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, წინასწარ განჭვრეტს მომავალს, მაგრამ მისი მთავარი დანიშნულება და საქმეა სწავლება; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ელაპარაკება ხალხს ღმრთის სახელით.

კათოლიკე ეკლესია იესოს მიიჩნევს ერთდროულად მღვდლად, წინასწარმეტყველად და მეფედ. ამათგან ან ერთი, ან მეორე, ან მესამე იესომდე სხვებიც იყვნენ ან შეეძლოთ ყოფილიყვნენ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მათგანი და ისიც გარკვეული დროის მანძილზე. მღვდლები მსხვერპლს სწირავდნენ, წინასწარმეტყველები მოძღვრავდნენ, ხოლო მეფეები მართავდნენ.

მღვდლებს ძღვნად მიჰქონდათ მსხვერპლი ტაძრებში, იესომ კი უმაღლესი მსხვერპლი შესწირა საკუთარი თავის სახით ჯვრის საკურთხეველზე. იგი იქცა მღვდლად (ესე იგი, მსხვერპლის მიმტნად) და მსხვერპლად (ესე იგი, ვინც მსხვერპლად არის შეწირული).

მეფეებს აქვთ ავტორიტეტი. ისინი მართავენ თავიანთ ქვეშევრდომებს და თავის მიწა-წყალს. იესო ლაპარაკობდა ღმრთის სასუფევლისა და ზეციური სამეფოს შესახებ. მას ფლობდა ავტორიტეტს უწმიდურ სულთა და ფიზიკურ უძლერებათა მიმართ. იგი უბრძანებდა მკვდრებს, აღდგინებულიყვნენ და ასეც ხდებოდა. იგი ამბობდა, რომ მისი სამეფო არ ეკუთვნის ამ ქვეყანას.

წინასწარმეტყველნი ასწავლიდნენ და ლაპარაკობდნენ ღმრთის სასარგებლოდ. იესო მოძღვრავდა სინაგოგებში, ტაძრებში, ქალაქებსა და დასახლებებში. იგი ქადაგებდა მოწყალებისა და პატიების უწყებას. იგი ამბობდა, რომ მამამ გამოგზავნა იგი, რათა ელაპარაკა, როგორც ყველა წინასწარმეტყველი მეტყველებდა მის მოსვლამდე. ერთადერთი განსხვავება ის იყო, რომ იესო, როგორც ძე ღმრთისა, ერთიანი იყო მამა ღმერთთან. ჭეშმარიტებისა და მადლის სისრულე გამოცხადებული იქნა იესოს მიერ, — ამდენად, აღარ იყო არავითარი საჭიროება, იესოს შემდეგ კიდევ გამოჩენილიყვნენ წინასწარმეტყველნი.

ჩვენ მივმართავთ იესოს, როგორც მესიას, რაც ებრაულად ნიშნავს „ცხებულს“. ბერძნებმა გამოიყენეს სიტყვა „ქრისტე“, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს. ამდენად ქრისტე ნიშნავს „ცხებულს“ ან მესიას. ქრისტე იყო არა გვარი, არამედ წოდება, როგორც მაცხოვარი ან მხსნელი.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

ოჯახური ძალადობა

„ქმარმა ჯეროვანი პატივი უნდა სცეს ცოლს, აგრეთვე ცოლმაც ქმარს“ (1კორ. 7,3), — ეს გვაფიქრებინებს, რომ ქმარმა არ უნდა იბატონოს ცოლზე. მეუღლეებს შორის უნდა იყოს თანასწორობა და ურთიერთთანხმობა. „ისინი უკვე ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი“ (მათ. 19.6).

სახალხო დამცველის სამსახურის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების გააქტიურების სტრატეგიის შემუშავების მიზნით, მრგვალ მაგიდასთან შეიკრიბნენ არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ თემთა წარმომადგენლები; კიდევ ერთხელ მოვისმინეთ საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენის მზარდი რაოდენობის შესახებ და, რომ, სულ უფრო მეტი ქალი და ბავშვი მიმართავს დახმარებისთვის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებს.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია, ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ, ხაზს უსვამს ადამიანის ღირსებას, პიროვნების ღირებულებას და ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას, შემაშფოთებელია საქართველოში ოჯახური ძალადობის შესახებ სახალხო დამცველის სამსახურის მიერ ჩატარებული ეროვნული კვლევის შედეგები: გამოკითხულთა 70% თვლის, რომ ეს სფერო არ უნდა სცილდებოდეს ოჯახის ფარგლებს; თუ ქალს ოჯახის შენარჩუნება სურს, უნდა მოითმინოს კიდეც; 30% ამართლებს ქალთა მიმართ ძალის გამოყენებას და თვლის, რომ თუ ქალს სცემენ, მან ეს დაიმსახურა.

ოჯახში ძალადობის მიზეზი მრავალგვარია:

— კულტურული: მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის უნდა ბატონობდეს ქალზე. ღირებულებები, რომლებიც მამაკაცს ქალსა და გოგონაზე მესაკუთრის უფლებებს აძლევს. ძალადობა — კონფლიქტის გადასაჭრელად მისაღები მეთოდი და ა.შ.

— ეკონომიკური: ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, დასაქმების ნაკლები პერსპექტივა და ა.შ.

— პოლიტიკური: ქალების ნაკლები წარმომადგენლობა სამართალდამცავ ორგანოებში და ა.შ

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს, რომ ადამიანები თავისუფლები, ღირსებითა და უფლებებით თანასწორნი იბადებიან, და რომ ადამიანი უნდა იყენებდეს ყველა ამ უფლებასა და თავისუფლებას, ყოველგვარი, მათ შორის, სქესობრივი, განსხვავების გარეშე.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აშშ-ი კარგად შემუშავებული დამცავი მექანიზმები არსებობს ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ ამცირებს ძალადობის ფაქტების რაოდენობას. ეს აზრი გვაფიქრებინებს, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პრევენციულ ღონისძიებებს — აღზრდას, ფორმაციას, მენტალობაზე მუშაობას, ქრისტიანული ოჯახის საფუძვლების შესწავლას, რასაც, უკვე დიდი ხანია, ორგანიზებულად ახორციელებს კათოლიკური ეკლესია, კერძოდ, საქართველოში. ეს გამოიხატება სხვადასხვა ღონისძიებაში, როგორიცაა: ახალგაზრდების ფორმაცია, ჯვრისწერისათვის მომზადება და ქორწინებაში მყოფი წყვილებისთვის კამპოსკოლების ორგანიზება, რათა ოჯახი ცხოვრობდეს ქრისტიანული სწავლების შესაბამისად.

ნანა ნებიერიძე

საარქივო მასალები

გამალიელ გამრეკელი სნერს, რომ „ვისრამიანი“ მეფის თამარის დროს არის ქმნილი დილარგეთის ბრძნის დავით საათაბაგოელისაგანო, მშვენიერს ენაზე. აქამდე ჩვენში ცნობილი იყო, რომ „ვისრამიანი“ სარგის თმოგველის დაწერილიაო. ყველას ასე სწამდა, მაგრამ ის კი გვავიწყდებოდა, რომ რაც სარგის თმოგველს დაუწერია, იმას „ვეფხისტყაოსანიც“ ამტკიცებს, მაგალითად იქ მოხსენებულია: „დილარგეთს სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა“. ესე იგი „დილარიანი“ სარგის თმოგველმა დასწერაო. გამალიელ არქიმანდრიტმა ბევრი ცნობა შემოიტანა ჩვენს ძველი მწერლობის ისტორიაში, მაგრამ ჟამთა ვითარებამ დაფარა მისი შრომა. დღეს მხოლოდ მცირე ცნობა სჩანს დარჩენილი. გამალიელ გამრეკელი იყო დაახლოვებული პირი პატრი ფილიპესი, პატრი ნიკოლასი და ამათგან დოსტაქრობა და ჯარაექიმობაც ჰქონია შესწავლილი. ამ გამალიელ გამრეკელის შთამომავალნი არიან დღევანდელი ქართველი მწიგნობარნი ნიკოლოზ და ანდრია გამრეკელნი. ნიკოლოზი ჩვენს მწერლობაში ცნობილი პიროვნებაა, მან ბევრი სწერა საქართველოს ძველი დროის ისტორიის შესახებ, ბევრი შესანიშნავი მასალები შემოიტანა ჩვენს ისტორიაში, სხვათა შორის, ამის შრომა საბა ორბელიანის „ლექსიკონის“ და ქართველი პატრების შესახებ ჩინებულ მასალად უნდა ჩაითვალოს, საინტერესოა ამის მოსაზრება და სიტყვა „ლექსთა-კონაზე“. მას დიდი წარმოდგენა ჰქონდა ქართველ პატრებზე და აცხადებდა, რომ ევროპის ერთა სიტყვა „ლექსიკონი“ ქართული სიტყვა „ლექსთა-კონიდან“ წარმოსდგაო, რომელ სიტყვაც ქართველთ პატრებმა ევროპის ერში შუა საუკუნეებში შეიტანეს და გაავრცელესო. ნიკოლოზ გამრეკელი გარდაიცვალა 60 წლებს მიღწეული 1896 წელს და როგორც ვიცით მას ბევრი საინტერესო მასალებიც დარჩა დაუბეჭდავი.

პატივცემულ პატრების მეოხებით რომი მიხვდა საქართველოს ერის ვითარებას, საქართველოს ერის შესახებ იმდენი მიწერ-მოწერა არას დროს არ ყოფილა რომში დაწყებული, რამდენიც 1740 წლის შემდეგ. აშკარად დაინახეს, რომ საქართველოში ისე არაფერი იყო საჭირო, როგორც ექიმობა, რადგან აქ ექიმობა დაცემული იყო XIV საუკუნის შემდეგ. საქართველოში საჭირონი იყვნენ ექიმები, ექიმობის მცოდნე მოძღვარნი, დღეის შემდეგ უნდა მოსულიყვნენ საკმარისად დახელოვნებული მოძღვარნი, რომლებიც ექიმობის ცოდნით იმ დროის ევროპის მსწავლულ ექიმებთაგან არაფრით უნდა გარჩეულიყვნენ. ამიტომ რომიდან მალე გამოგზავნეს ასეთი მსწავლულ მოძღვარ მამები და უკანასკნელ ამათგანი იყო პატრი ანდრია, ცნობილი ექიმი, პატივცემული პიროვნება. პატრი ნიკოლა, ცნობილი დოსტაქარი, ხოლო უკანასკნელი პატრი ფილიპე. პატრი ანდრია დიდად სახელოვანი იყო საქართველოში, როგორც მოძღვარი, ექიმი და წამლების მკეთებელი, იცოდა ზედმიწევნით ქართული ენა. მეფე ერეკლეს თხოვნით მან სთარგმნა ქართულ ენაზე სხვა და სხვა სატკივრების „კარაბადიმები“, მეფემ მას გაუკეთა სახლი, მოუპოვა წამლების საკეთბელი იარაღები, ექიმობის იარაღები და სხვაც ბევრი საჭირო რამ, წელიწადში ჯამაგირად 400 მანეთს იღებდა, იმ დროის კვალობაზე დღეს ეს ფული კი რიცხვს უწევს.

პატრი ანდრია ჩვენს ძველ მწერლობაში ქებულია მრავალთაგან და „კალმასობა“-შიაც მოიხსენიებენ ქებით. მე ვფიქრობ, რომ იტალიური ენიდან ნათარგმნი „ვრცელი კარაბადიმი“ ამის ნათარგმნი უნდა იყოს, აგრეთვე „შემოკლებული კარაბადიმიც“ ამ მოძღვარის რჩევით სხვა და სხვა მსწავლულთ და ლათინური ენის მცოდნე ქართველთ ლათინური ენიდან ბევრნაირი წიგნები უთარგმნიათ, საღმრთო შინაარსისაც კი, ამას ცხადად მოწმობენ მეთვრამეტე საუკუნეში ლათინური ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი წიგნები. ასეთი თარგმანი ჩვენს ძველ მწერლობაში მრავალია. მათში ბევრიც საინტერესოა. პატრი ანდრიას დროსვე მოვიდა საქართველოში დიდად განვითარებული პატრი ნიკოლა, გვარად რუტილიანოვი, იტალიელი. ნიკოლას საქართველოში მოსვლის დღიდან იწყება ქართველ კათოლიკეთა ახალი ცხოვრების და მოძრაობის ხანა. საქართველო რომს უახლოვდება და ასევე რომი ყურადღებას აქცევს საქართველოს. დაისვა საკითხი თბილისის ლათინური წესის ძველი ხარების ეკლესიის კათოლიკეთათვის წართმევის ფაქტის გამოძიების შესახებ. ეს ძველი ხარების ეკლესიის შენობა თბილისის კათოლიკეებს 1714 წელს დაუწყიათ და მალე დაუმთავრებიათ.

საბა ორბელიანი რომიდან კათოლიკის სარწმუნოებით დაბრუნდა. ამ ამბავმა ააღელვა საქართველოს სამღვდელოების ზოგიერთი პირი და მათი წაქეზებით ზოგმა ქართველმა ეს ეკლესია 1717 წელს მთლად დააქციეს, 1721 წელს ეკლესია კვლავ განაახლეს, მაგრამ 1750 წელს იგი კვლავ დააქციეს ქართველებმა და სომხებმა და ეკლესიის ნაშთებიც თვით მიისაკუთრეს. კათოლიკენი რომის დახმარებით ითხოვდნენ ამ ეკლესიის დაბრუნებას, მაგრამ ქართველებმა ეს არ ინებეს! ქართველთ განაცხადეს: დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ დავიკავეთ ეს ეკლესიაო. მეფე გიორგისაც არ უნდოდა ეკლესიის დაბრუნება, რადგან მას სასტიკად სძულდა კათალიკოსი ანტონი, სძაგდა პატრებიც, მხოლოდ პატივს სცემდა მათ როგორც სუფთა, ჭკვიან მოძღვრებს. მეფე გიორგიმ დამიანე ანკოლელს თამამად უთხრა, რომ მე კათოლიკობა მძულსო, მაგრამ პატრებს კი პატივს ვცემ, როგორც ღირსეულ მოძღვართო. დღეს თბილისში ხარების ქართველთ ეკლესია არავის აღარ ახსოვს, რადგან მისი ქვაც კი აღარ არის დარჩენილი. ადრე კი თურმე ბრწყინავდა ეს ეკლესია რომში ნახატი ხატებით და მორთულობით.

(წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი, მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში. თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა. სტილი დაცულია)

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

მესხეთის ახალგაზრდები ბათუმში

აჭარა საქართველოს ულამაზესი მხარეა: ზღვა, ბულვარი, ლაჟვარდოვანი სანაპირო. შეუძლებელია, აუღელვებლად შეხედო ამ ყველაფერს.

დიდი სითბოთი და სიხარულით შემოგვეგება ხელვაჩაურის „იმედის სახლი“ ვალეს, ივლიტას, ახალციხის, არალისა და უდეს ახალგაზრდებს.

დაიწყო სამკვირიანი, საინტერესო და გასართობი ცხოვრება ახალგაზრდებისათვის; ვმადლობდით უფალს ერთად ყოფნისა და მშვენიერი ამინდის გამო. მამა მიშა სურმავა, რომელიც ჩვენზე პასუხისმგებელი იყო, ყოველდღიურად გვთავაზობდა სხვადასხვა თემებს, რომლებზედაც ჯგუფებში იმართებოდა აქტიური და ნაყოფიერი დისკუსიები. დისკუსიის მიზანი იყო, ყველა ჩავღრმავებოდით საკუთარ თავს, დაგვესვა ის კითხვები, რაც გვაწუხებდა და გვაღელვებდა: ვინ ვარ მე? საიდან მოვდივარ? რა არის საზოგადოება და რა ადგილი მიჭირავს მე მასში? დისკუსიაზე ყველას საშუალება გვეძლეოდა, გამოგვეთქვა საკუთარი მოსაზრებები იმ ძირითადი თემების ირგვლივ, როგორიცაა მეგობრობა, ურთიერთგაგება.

წელს ბანაკში ას ოცდახუთმა ახალგაზრდამ სამ ნაკადად დაისვენა ზღვაზე. ჩვენ საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღეთ, გამტკიცდა ჩვენი რწმენა და დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ.

გვინდა, უდიდესი მადლობა შევწიროთ ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს ამ ნათელი დღეებისათვის; დიდი მადლობა „საქართველოს კარიტასს“ და მის დირექტორს მ. ვიტოლდ შულჩინსკის, მადლობა მ. მიშა სურმავას, რომელიც ჩვენთვის მამაცაა და ძმაც და ყოველთვის ერთგულია იმ მისიისა, რომელიც ღმერთმა უბოძა. მადლობა ყველა ახალგაზრდას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კამპოსკოლაში.

ვიმედოვნებთ, რომ გამოცდილებას და სიყვარულს, რომელიც მივიღეთ, ყველას გავუნაწილებთ, განსაკუთრებით მათ, ვინც ამას საჭიროებს, რადგან მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს სამყაროს.

მესხეთის ახალგაზრდები

წეროვანი, 14 აგვისტო – ახალგაზრდული შეხვედრა

სარჩევი

რედაქციის გვერდი.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
კათოლიკური პასუხი.....15
სოციალური პრობლემები.....15
საარქივო მასალები 16
ახალგაზრდული გვერდი 17
საგანგებო ჩანართი .....I-VI

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა", 2010

GRAZIE
PADRE NINO!